საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 30 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი ... ... ... დეს პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. ... 3 მან. სამგლოვიარო განცხადება წვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 298 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 298

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი ძმობლები: მღვდელი იოანნე და ნინა ალექსის ასული, მეუღლე სერაფიმა (ფუფა), ბიძა ტრიფონი, ძმა კალისტრატე, დები ნადია და ქსენია, რძალი ეკატერინა (ძაბული) ნესტორის ასული ჩარკვიშვილები, სიძე ვანო, დისწულები მარუსია, კუკული და ლუტუ სალარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 30 დეკემბერს, დღით სამშაბათს უდროოდ გარდაცვალებულის მეორე ქართული პოლკის დრანდრის რაზმის უფროსის კაპიტანის

**იპოლიტე იოანეს ძე ჩარკვიშვილის**

სულის მოსახსენებლად სოფ. კონტუათის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში. (3406—3—3)

იოსებ ნიკოლოზის ძე ჩხეიძე და შვილები გრიგოლ, სვიმონ, დათიკო და მარიკო აუწყებენ თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველი სიდედრის და დანარჩენი საყვარელ ბებიას

**ფატმან იესე ამაშუკელის ასულის საყვარელიძის**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩა, ოთხშაბათს, 31 დეკემბერს. (3427 2—1)

ილიკო გიორგის ძე და შვილი მისი გივი ილიკოს ძე ქართველიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 31 დეკემბერს, საღამოს შვიდ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის დაუვიწყარი მეუღლისა და მერის დედის

**თამარა ქართველიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (3425 1—1)

ბებია ეკატერინე მიხეილის ასული და ანნა გიორგის ასული საყვარელიძენი, არჩილ სპირიდონის ძე და მარია გაბრიელის ასული ბაქრაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

**კოსტა ბექტმანის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მინიდან (არწრუნის ქ. № 27) 30 დეკემბერს ... 10 საათ ... (3428 1—1)

**ელისაბედ (ლიზა) იოსების ასულის მარკველაშვილის**

... 3430 1—1

**დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი**

... (3435—3—1)

**დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი**

... (3435—2—1)

**საჯარო ვაჭრობა**

... (ნ. 1—1)

**მეორე ქართული კლუბი**

(პლეხანოვის პროსპექტი 129)

**ახალი წლის შეხვედრა**

**კაბარე** | **ვახშამი**

... (ნ. 2—1)

**მომარაგების სამინისტრო**

... (ნ 2—2)

## მომარაგების სამინისტრო

### აცხადებს საყოველთაოდ, რომ

1) თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 2 დეკემბრის მიღებულ მატყლზე მონოპოლიის გამოცხადების კანონისა, მატყლის ყიდვა-გაყიდვა, საზღვარ გარეთ გატანა და განაღდება შეადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას.

2) მატყლის ყველა მეპატრონენი, მათ შორის დამრთავ-საქსოვ სახელოსნოების მქონენი, რომელთაც თავიანთ საწყობებში მოეპოვებათ მატყლი, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების გამოქვეყნებისა მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", აცნობონ მომარაგების სამინისტროს მათ განკარგულებაში მყოფ მატყლის რაოდენობა და საწყობის მისამართი.

3) მატყლის საწყობების და სახლების მეპატრონენი, რომლებშიაც მატყლი ინახება, ვალდებულნი არიან მეორე მუხლში აღნიშნულ ვადაში აცნობონ მომარაგების სამინისტროს სად ინახება მატყლი.

4) ეს ვალდებულება ვრცელდება მოიჯარადრეებზე და მმართველებზე იმ ბინებისა, რომლებშიაც მატყლი ინახება.

5) მატყლის დამალვისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, ხოლო გადამალული მატყლი ჩამოერთმევათ დაკლებულ საჯარიმო ფასებში.

6) მთავრობის ყველა დაწესებულებებს, რომელთაც მოეპოვებათ ზემოდ აღნიშნული ცნობები, წინადადება ეძლევა დაუყონებლივ აცნობონ მომარაგების სამინისტროს.

(ნ. 2—2) მომარაგების მინისტრი.

## სენატორი ნ. მ. ქიქოძე

რომელიც მთავრობის დავალებით ... აწარმოებს ტფილისის ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების რევიზიას, იწვევს ყველა იმ პირთ, ვისაც სურს რაიმე განმარტების ანუ განცხადების მიცემა საბინაო განყოფილების ან რომელიმე მისი მოსამსახურის მოქმედების შესახებ. გამოცხადდნენ მასთან სასამართლო პალატის შენობაში (მე-3 სართული).

... დილის 11 ს. 12 საათ. (3416—2—2)

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების საცენტრო სახლი (... ) ...

... 29 დეკემბრიდან ...

**ტევრების ჩაწერა**

... (ნ. 2—2)

საქართველოს რესპუბლიკის ქალათა კავშირი

**ბარგის გადაზიდვა**

... (ნ. 6—2)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

... —250 მანეთი. ... —150 მანეთი, ... 200 მანეთი. (ნ. 5—2)

**მოითხოვეთ ყველგან**

უმაღლესი ხარისხის

**კონიაკი და არაყი**

ი. ძ. ლაზარევის

თფილისი ... № 19. (3366—4—4)

## წითელი და შავი იმპერიალიზმი

...

## მუშათა სასახლის საზეიმო გახსნა

28 დეკემბერს ...

[illegible]

# დღეს

მოკავშირეებმა აცნობეს გერმანიას, რომ ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევა შეერთებული შტატების დაუდასტურებლადაც.

ბალშევიკების ცნობით გერმანიაში შეხდგა თავდაცვის წრეები, რომელთა მიზანია ვერსალის ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარებას წინააღმდეგობა გაუწიონ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა გალერის ჯარში გერმანიის ყოფილი ტყვეების იძულებით წაყვანის წინააღმდეგ.

გერმანული პრესის ცნობით ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში დაამარცხეს ინგლისის ჯარები.

საბჭოთა ჯარი, ბალშევიკების ცნობით, დონის როსტოვს უახლოვდება.

იტალიის და სამხრეთ-სლავიის დელეგატები შეთანხმდენ ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოებისა და სხვა საკითხებში.

იტალიელი ინვალიდების რიცხვი 219.145 უდრის.

ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ. ორატორი განაგრძობს:) დიახ, ჩვენ თითქმის მივაღწიეთ დემოკრატიზმის განმტკიცებას, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩვენ კვლავ ვიბრძვით და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის მისაღწევათ. ჩვენ ვდგევართ მეცნიერულ სოციალიზმის ნიადაგზე და ვიცით, რომ ჩვენი საბოლოო მიზნების მისაღწევათ საჭიროა მომწიფება ობიექტიური პირობებისა—წარმოების სათანადოთ განვითარება, ამიტომ ჩვენს წრეში არ არიან მაქსიმალისტები და ვერც იქნებიან. დასასრულ ორატორი ამბობს: აი ამ დროშას, ამხანაგებო, დღეს ჩვენ ავაფრიალებთ ჩვენი სასახლეზე და ფიცსა ვსდებთ, ვიბრძოლოთ მანამ, სანამ ჩვენი საბოლოო მიზანი,—სოციალიზმი განხორციელებული არ იქნება. გაუმარჯოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას. (ტაში).

გრ. გიორგაძე ესალმება და ულოცავს თფილისის პროლეტარიატს მუშათა სასახლის გახსნას და ამბობს: დღევანდელი დღე გვირგვინია, დასკვნაა იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი დემოკრატია აწარმოებდა თავისუფლების მოსაპოვებლათ. თუ გადავავლებთ თვალს იმ ბრძოლას, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებდა, იმ გზას, რომელიც მან გაიარა, დავინახავთ, რომ ეს გზა ძალზე ეკლიანია, რა არ შეხვდა ჩვენს დემოკრატიას ამ ბრძოლის დროს; პირდაპირ ჯოჯოხეთური პირობები იყო, მაგრამ მან სძლია ყველაფერი და ერთი დიდი ნაბიჯი უკვე გადადგა თავისი საბოლოო მიზნისკენ—სოციალიზმისკენ. საქმის ერთი ნახევარი უკვე გაკეთებულია: ჩვენ უკვე გვყავს დამფუძნებელი კრება, რომელიც აწყობს, აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ მტკიცე საფუძველი მოუმზადოს სოციალიზმს. აი ის გზა, რომლითაც მიდის მთელი მუშათა მასა, დამფუძნებელი კრება, თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი მთავრობა, აი ნაყოფი თქვენი ბრძოლისა. ბედნიერი ხართ, რომ თქვენ თვითონ ხედავთ იმ ნაყოფს, (დემოკრატიულ წყობილებას), რომელზედაც უნდა აშენდეს სოციალიზმი. მხურვალეთ გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღეს, გილოცავთ ამ ნაბიჯის გადადგმას. გაუმარჯოს თფილისის პროფესიონალურ კავშირებს, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს (მხურვალე ტაში).

მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ნ. ჟორდანია. მის გამოსვლას ცხარე ტაშით ხვდება დარბაზი. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ. უცბათ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა სმენათ გადაიქცა. ორატორი იწყებს: ამხანაგებო, ნება მომეცით, მოგილოცოთ თქვენ მუშათა სასახლის გახსნა. ეს სახლი გარეგნულათ სრულიად არა გავს მუშათა სახლს. არც ეს ქუჩა გავს იმ ქუჩებს, რომლებზედაც უხდებოდათ ცხოვრება მუშებს. და აი, მუშათა სასახლის გახსნა სწორედ ამ სახლში, რომელიც აგებული იყო მაღალი კლასებისათვის, სწორედ ეს გვიჩვენებს დღევანდელი მდგომარეობის აზრს, შინაარს. ეს ჩვენ გვიჩვენებს რევოლიუციის აზრსაც, გვიჩვენებს იმასაც, რომ მუშები გამოდიან თავიანთი ბნელი, ვიწრო ქუჩებიდან და იკავებენ საუკეთესო სახლებს ჩვენ დედა ქალაქ თფილისისა. მას შემდეგ, რაც მუშებმა დაიპყრეს პოლიტიკური ძალა-უფლება და დაიკავეს ის სასახლე (დამფუძნებელი კრების სასახლე), სრულიად ბუნებრივია ამ მუშათა სასახლის დაკავება. და აი, ამ სასახლის გახსნა გვიჩვენებს, რომ მუშები უფრო ახლო დგებიან, მჭიდრო კავშირს იკავებენ იმ ხალხთან, რომელნიც იმყოფებიან იმ სასახლეში და რომლებიც თქვენზე ეყრდნობიან. ჩვენ მიჩვეული ვართ თქვენგან დირექტივების, დახმარების მიღებას და მე იმედი მაქვს, რომ თქვენ კვლავ არ მოგვაკლებთ ამ დახმარებას, გააგრძელებთ თქვენს პოლიტიკას.

თუმცა თქვენი პროფესიონალური კავშირები პოლიტიკას არ ეწევიან, მაგრამ წმინდა პროფესიონალური მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. და აი, თქვენ უნდა გვიკარნახოთ დირექტივები და ჩვენ ძით ცხოვრებაში გავატარებთ მუშათა კლასის სახელით, მისი ინტერესების მიხედვით.

აი ამ სახლში გაერთიანებულია თფილისის პროფესიონალური კავშირები და მე ვისურვებდი, რომ ამ სახლში გაერთიანებულიყვნენ მთელი საქართველოს კავშირები. ეს ცოტაა, მე ვისურვებდი, რომ ეს ხალი პოლიტიკა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ, გადასროლილ იყოს საქართველოს საზღვრების გარეშე, განსაკუთრებით ბაქოში და სხ. ცენტრებში. გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღეს. (ცხარე ტაში).

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ნ. რამიშვილი, (რომლის გამოსვლას ტაშის ცემით ხვდებიან) ამხანაგებო, გილოცავთ თქვენს დღესასწაულს იმ პარტიის სახელით, რომელიც 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში. ეს პროფესიონალურ კავშირთა დღესასწაული, პირველ ყოვლისა სოციალდემოკრატიული პარტიის დღესასწაულია. სოც.-დემოკრატიული პარტიის იმიტომ, რომ მან შესძლო მუშათა კლასის ორგანიზაციულათ შეკავშირება და სოციალიზმის გზისკენ დაყენება. თქვენ დღეს აქ დაინახეთ ის პირველი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო თფილისის პროლეტარიატმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენ შეგიძლიანთ მოიგონოთ, თუ რა გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ეს პარტია ძველ რეჟიმთან, აწყობდა იაჩეიკებს, ორგანიზაციებს და სხ. მთელი ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი დამარცხება უგემებია ბურჟუაზიული წყობილების დამცველებისაგან, მაგრამ თითეული დამარცხება, მსხვერპლი იწვევდა ჩვენი ენერგიის გაათკეცებას და ჩვენ ამ ბრძოლის შემდეგ მოვახერხეთ სარდაფებიდან გამოსვლა და სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, რომ ეს უკანასკნელი გვქონოდა იარაღათ ჩვენი მომავალი მიზნისათვის ბრძოლაში. საბოლოო მიზანი მიღწეული არაა, მაგრამ ერთი რამ უეჭველათ გაკეთებულია: ჩვენ ეკლიანი გზა გავკაფეთ და საშუალება გვაქვს თავისუფლათ შევკავშირდეთ ორგანიზაციაში და აი, ამ მუშათა სახლში მუშათა კლასს შეუძლია თავისუფლათ ემზადოს მომავალი ბრძოლისათვის: თავისი შეგნება-შემეცნება განავითაროს. სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ ცდილობდა თქვენზე გავლენა მოეხდინა თავისი რაზმების გ საძლიერებლათ, მაგრამ თქვენ მაინც არ სცილდებოდით იმას, ვინაიდან მიზანი თქვენი და ჩვენი პარტიისა ერთი იყო: სოციალიზმის დამყარება. შემდეგ ორატორი ეხება იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდება მუშათა კლასს დღეს ცხოვრება და ამბობს: დღეს ჩვენ გვახრჩობენ გარეშე პირობები (ბლოკადა და მოსალოდნელი შიმშილი), მაგრამ მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი მხნეობა და ძალა დაგვეხმარება ჩვენ არა მარტო დემოკრატიზმის განმტკიცებაში, არამედ —საბოლოო მიზნის—სოციალიზმის დაახლოვებაში. მე მოგესალმებით რა სოციალ დემოკრატიული პარტიის სახელით, მწამს, რომ თქვენ და ჩვენი პარტია ხელი-ხელ ჩაკიდებული ვივლით საბოლოო გამარჯვებისაკენ და შეთანხმებით, შეერთებული ძალებით დავამკვიდრებთ სოციალისტურ წყობილებას (მქუხარე ტაში).

რ. არსენიძე, რომლის გამოსვლას ტაშით ეგებებიან, დამფუძნებელი კრების სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ამბობს: ამხანაგებო, იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ჩვენ ამ დიდ პროსპექტზე ამოვედით, მარტო სისხლის საღვრელათ და სადემონსტრაციოთ კი არ ამოვსულვართ, არამედ— ახალი პოზიციების დასაპყრობათ. წარსულ წლებში ჩვენ ვიბრძოდით არა იმიტომ, რომ გვეჩვენებია ჩვენი თავგანწირვა, თავდადება, არამედ ჩვენ მივისწრაფოდით და მივილტვოდით იქეთკენ, სადაც იჭედებოდა ყონობის ბორკილი, სადაც იწერებოდა ბურჟუაზიის გამაგრებელი კანონები, და გვსურდა იმ დაწესებულების დანგრევა-მოსპობა. და დღეს, როდესაც ჩვენ პოლიტიკურათ უკვე გამარჯვებულნი ვართ, მუშათა კლასი იქვე მოდის, სადაც წინეთ ბორკილებს უჭედავდენ და სურს დღეს იქ მან განამტკიცოს თავისი ბატონობა, ამხ., პოლიტიკური ბატონობა მუშათა კლასისა დღეს უკვე ფაქტია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ამას აუცილებლათ უნდა მოჰყვეს მისი ეკონომიური განთავისუფლება და ბატონობაც. უნდა მოჰყვეს იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ცხოვრების ლოღიკა. ან უნდა მოხდეს ეს,—მივიდეთ სოციალიზმამდე, ანდა უნდა დავკარგოთ ისიც, რაც მოპოვებული გვაქვს. ეს საკითხი დღეს წამოყენებულია ევროპაში, მისთვის იბრძვიან იქ და ჩვენც ეს გვაერთებს ევროპის მუშათა კლასთან და აი, დღეს აქ მუშათა სასახლის გახსნა— ეს ბურჟუაზიის სასახლის აღებაა. მაგრამ აქ ერთი რამ არის აღსანიშნავი. ჩვენ შეგვეძლო ასეთი სახლების აღება მაშინ, როდესაც რევოლიუცია დაიწყო და პოლიტიკურად მუშათა კლასი გაბატონდა, მაგრამ ჩვენ ვიღებთ ბურჟუაზიის პოზიციებს სწორედ მაშინ, არა ნგრევის ხანაში, არამედ, როდესაც ახალ ცხოვრებას ვაშენებთ (მქუხარე ტაში). აი ეს ფაქტი—შეგნება, რომ ასეთი პოზიცია უფრო ხელსაყრელია მუშათა ინტერესებისათვის,—ამბობს ორატორი, —არის თავდები იმისა, რომ ჩვენ ევროპის მუშებთან ერთად შევსძლებთ მოვახერხოთ ისე, რომ ყველა სასახლე ეკუთვნოდეს მშრომელებს, იყოს შრომის სუფევა. შეიძლება ამისთვის ერთი, ორი და მეტი წელიც იყოს საჭირო, მაგრამ თუ ჩვენ ნიკოლოზის ჩამოსაგდებათ 30 წელი ვიბრძოდით, მაშინ, რასაკვირველია, მთელი სოციალისტური წყობილების განსამტკიცებლათ უფრო ენერგიულად ვიბრძოლებთ. გაუმარჯოს თქვენს ენერგიულ ბრძოლას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს (მქუხარე ტაში).

შემდეგ მუშათა სასახლის გახსნას ულოცავენ: თფილისის თვითმართველობის სახელით ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების სახელით მუხრან ხოჭოლავა, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სახელით ლაპარაკობს სანდრო ფარნიევი, დამფუძნებელი კრებას შრომის კომისიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ი. ფირცხალაიშვილმა, სოც. ფედერალისტების პარტიის მთავარ კომიტეტის და დამფუძნებელ კრების სოც. ფედ. ფრაქციის სახელით ილაპარაკა ს. მდივანმა, „ერთობის" რედაქციის, ერობათა კავშირის და სახალხო უნივერსიტეტის სახელით ილაპარაკა გრ. ლორთქიფანიძემ.

სოც. დემოკრატიული პარტიის თფილისის კომიტეტის სახელით—სარდ. თევზაძემ, ქალაქთა კავშირას სახელით არჩ. ჯაჯანაშვილმა, ბავშვთა და დედათა საზოგადოების სახელით—ინა ჟორდანიამ, ქუთაისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრის სახელით—გ. ტუსკიამ.

სხდომის დახურვისას ა. ხელაძემ სთხოვა გაჰყოლოდნენ სეკრეტარიატს სასახლის სახურავზე, სადაც აფრიალებდენ წითელ დროშას. სახურავზედვე შესრულა ორკესტრმა ინტერნაციონალი. მუშებმა შესრულეს მარსელიოზა. 3 საათზე ზეიმი დაიშალა.

# დეპეშები

საქართველოს დეპეშათა საგენტო

29 დეკემბერი

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი,** დეკ. 27. **სტოკჰოლმი,** დეკ. 22. უკანასკნელ ხანებში გერმანიაში შესდგა დიდძალი თავდაცვის წრეები, რომელთა მიზანია ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ საპროტესტო ორგანიზაციების მოწყობა. გერმანიას ანტანტამ მოსთხოვა სასწრაფოთ დახუროს წრეები და ყველა წევრებს იარაღი ჩამოართვას.

**სარატოვი,** დეკ. 25. კაზაკები ჯგუფჯგუფად სტოვებენ ფრონტს. ბევრი იარაღით ხელში მიდის შინ. დენიკინის სარდლობამ ბრძანება გამოსცა მთელი ბურჟუაზიის ფრონტის წინა ხაზებზე გაგზავნის შესახებ.

სამხედრო ცნობები ნარვის რაიონში, მდინარე პლიუსაზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. მარიენბურგისა და იაკობშტადტის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. ჩვენ წამოვიყვანეთ 8 ტყვე. უშაჩის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. ჟიტომირის მიმართულებით ბელაია ცერკოვის რაიონში ჩვენ ავიღეთ დაბა სხვირა. კიევის რაიონში ჩვენი წინსვლა მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირით სასურველად ვითარდება. ზოლოტონოშის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გადალახა მდინარე დნეპრი კრემენჩუგის მიდამოებში და იბრძვის ქ. ჩერვასის აღებისათვის. ბახმუტის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო პოპასნაია და სადგურები ირმინო და სანცეგოვკა. ლუგანსკის და მილეროვოს რაიონში ჩვენი წინსვლა სასურველად ვითარდება. ილოვლის რაიონში ჩვენ ავიღეთ სტარო-გრიგორიევსკი და ვიბრძვით სიროტინის აღებათ.

ცარიცინის რაიონში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუვაგდეთ კაჩალინსკისაკენ. კუზნეცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. კუზნეცკი. ნოვონიკოლაევსკის რაიონში, კოლჩუგინის აღმოსავლეთით ჩვენ დავატყვევეთ მტრის სადივიზიო შტაბი. წამოვიყვანეთ 1500 ტყვე და დიდძალი სამხედრო სურსათი. მტერი უკან დახევის დროს სწვავს სამხედრო საწყობებს და ქონებას. ტომსკის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება. დონეცის რაიონში წითელმა ჯარმა დაიჭირა მრავალი გამაგრებული პუნქტი. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. ბახმუტის რაიონში მას დიდძალი რეზერვი მოუგროვებია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა დაჰკრა აღმოსავლეთით, სადაც აიღო ლუგანსკი და მილეროვო ამგვარათ ჩვენ 130 ვერსზე მივუახლოვდით როსტოვს. მიუხედავათ დიდძალი ჯარისა, რომელიც მოგროვებული ჰყავს მტერს როსტოვის რაიონში, მას არ შეუძლება ჩვენი ძლევა—მოსილი წინსვლის შეჩერება. ახლო მომავალში ბრძოლის ფრონტი როსტოვის რაიონში გადავა. ამის გამო დანარჩენი რაიონები სამხრეთის ფრონტისა მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იღებენ. როსტოვი სტრატეგიული კვანძია ყველა მიმართულებისა.

**ტიუმენი** დეკ. 23. სოფელ პოკროვსკაში გამოჩნდა რასპუტინის ოჯახობა, რომელიც გარბოდა კოლჩაკის ჯართან ერთად. გლეხებმა ისინი დაიჭირეს და ჩრეზვიჩაიკას წარმოუდგინეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის საშუალებით ლონდონს, პარიზს და ვარშავას გადასცა თავისი პროტესტი საფრანგეთისა და ინგლისის ბანაკებში მყოფ გერმანიის ყოფილ აღმოსავლეთ ოლქებში დაბადებულ სამხედრო ტყვეების გალერის ჯარში იძულებით წაყვანის წინააღმდეგ.

**გერმანული პრესის ცნობები.**

(დასაწყისი არ მიგვიღია)... რუსეთში ახლა არ არის ისეთი მთავრობა, რომელიც შესაძლებელია იცნონ ნამდვილ მთავრობათ. ჩვენ არ შეგვეძლო და არც არასოდეს გვინდოდა კოლჩაკისა, დენიკინისა და სხვ. დასავ. მთავრობის ცნობა. რუსი ტყვეების განთავისუფლების შემდეგ ჩვენს წინ დგება საშიშროება, რომ ისინი დენიკინის ჯარში ჩაეწერებიან საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველად, რასაც მოსკოვის მთავრობის მხრივ შეუძლია რეპრესიები გამოიწვიოს. კოლჩაკის დამარცხების შემდეგ მრავალი ათასი გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა მიაღწევა (გამოტოვებულია).

სამხრეთ-სლავიის კომისიამ დ'ანუნციოს პლანების წინააღმდეგ კლემანსოს თავისი პროტესტი გაუგზავნა.

ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში დაამარცხეს ინგლისის ჯარები.

**იტალიური პრესის ცნობები.**

რომში თეატრ „არგენტინაში" წაკითხულმა ლექციამ თანაედროვე რუმინეთის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მომხსენებელმა ქალმა გარბომ, რომელიც რუმინელია შთამომავლობით, ორივე ლათინთა ერის დამეგობრება მოითხოვა. მრავალრიცხოვანი აუდიტორია მის სიტყვებს მხურვალე ტაშის ცემით შეეგება. იტალიელ ინვალიდების რიცხვი 219,145 უდრის.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ბუქარესტიდან მოვიდა ცნობები ვაიდა ვოევოდას მიერ რუმინეთის პარლამენტსა და სენატში გაკეთებულ განცხადების შესახებ. რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მან განაცხადა: „საზავო ხელშეკრულების დადასტურებამდე რუმინეთი რჩება კავშირში ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებთან ერთადაც ის იბრძოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პოლონეთსა და რუმინეთის საერთო ინტერესები აქვთ. ვოევოდამ ამგვარივე მეგობრული გრძნობები გამოსთქვა ჩეხო-სლოვაკიისა და სერბიის მიმართაც. რუმინეთისა და საბერძნეთის შესახებ ვოევოდამ აღნიშნა ის ძველი სიმპატია, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის ძველათგანვე არსებობდა. თავის დიდი მოკავშირებისა რუმინეთი მუდამ მადლობელი იქნებაო.

ბერლინიდან მოსული დეპეშა აანალიზებს უკეთესს მოკავშირეთა პასუხს გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე. ამ პასუხში გერმანიას ატყობინებენ, რომ ვერსალის ხელშეკრულობა შეერთებული შტატების დაუდასტურებლადაც შევა ძალაში. ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ საზავო ხელშეკრულობის წინადახეულ ძალდატანების ხმარება არ დაგვჭირდებაო და მოითხოვს სკაპა-ფლოუში დაღუპულ ფლოტის ანაზღაურებას. ნოტას ამასთანავე მხედველობაში აქვს გერმანიის სასიცოცხლო ინტერესებიც ფონ-ლერსნერი შეეკითხა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს: შეიძლება თუ არა უახლოეს დროში ერთმანეთს შეხვდენ საზავო ხელშეკრულების პირობების ძალაში შესვლის შესახებ დაარსებული გერმანული კომისია და მოკავშირეთა წარმომადგენლებიო, რაზედაც პასუხათ მიიღო, რომ მოლაპარაკება, ალბათ, ორშაბათს დაიწყებაო.

საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა კლაველმა მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი შეიტანა საათის ისრის ერთი საათის წინ წაწევის შესახებ. ეს ზომა გამოწვეულია უნახშირობით, ფიქრობენ, რომ ამ ზომით მარტო 1920 წელს სახაზინო მაზუთის 100 მილიონზე მეტ ეკონომიას გაწევენ.

საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მთავრობამ და დეპუტატთა პალატამ კვლავ იმსჯელა. თავდაპირველათ მინისტრთა საბჭომ, რომელიც დილას ელისეს სასახლეში შეიკრიბა, მოისმინა კლოტცის მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

უმაღლესი საბჭო დღეს შეუდგა გერმანიის წინადადების განხილვას, რომელიც გერმანიის სანავთსადგურო მასალის მდგომარეობის ექსპერტიზას ეხება. გენერალ ლაიგანმა მოხსენება გააკეთა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მოკავშირეთა ჯარების იმ ზონაში გადაყვანას ეხება, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს. გერმანია აცხადებს, რომ მას არა აქვს საჭირო სატრანსპორტო საშუალებანი.

ტრიესტიდან „ეპოხამ" დეპეშა მიიღო, საიდანაც სჩანს, რომ იტალიისა და სამხრეთ-სლავიის დელეგატები შეთანხმებულან ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოებისა და სხვა საკითხების ურთიერთ შორის დაწესების შესახებ.

ბერნიდან იუწყებიან: სოციალისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა იანვრის დამლევს მოაწყოს სხდომა ინტერნაციონალის აღსადგენათ ყველა ქვეყნის სოციალისტების მოწვევის შესაძლებლობის საკითხის გამოსარკვევად.

ვენიდან იუწყებიან: მოვიდა საფრანგეთის კონტრ ადმირალი, რომელიც ბუქარესტიდან დაბრუნებული, დუნაის მოკავშირეთა კომისიის თავმჯდომარე, ადმირალი ფტუ იყო. ამ ასი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ ვენაში ფრანგული გემი მოვიდა.

# ახალი ამბები

**მოსკოვში.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით ოქტომბერში სხვადასხვა სანოვაგეზე შემდეგი ნიხრი იყო თავისუფალ ბაზარზე (სუხარევკა და სხვა): ცხენის ხორცი გირ. 90 მ., კარაქი 700 მ., ყველი ჰოლანდიური 550 მ., მურაბა სხვადასხვანაირი 180 მ., ქიშმიში 300 მ., ძროხის ხორცი 180 მ., ცხვრის ხორცი 170 მ., ქათამი ერთი ცალი 500—600 მან., გოჭი გირ. 260 მ., ქონი ღორისა 500 მან., შაქარი რაფინადი 280—320 მან., რძე ბოთლი 40 მანეთი, ნავთი გირვანქა 120 მანეთი, მარილი გირვანქა 180 მ., საპონი სატუალეტო ნაჭერი 200 მან., საპონი სარეცხის გირ. 200 მან., შეშა ცალ პირი საჟენი 6000 მან., ადგილზე შეშა კუბიკური საჟენი 20,000 მან., საწყობებში, ფქვილი თეთრი ფუთი 6,000 მან., ფქვილი შავი ფუთი 4000 მან., კართოფილი გირ. 23 მან., ხახვი გირ. 50 მან., კომბოსტო გირ. 10 მან., ვაშლი ერთი ცალი 50—100 მან., საზამთრო ერთი ცალი 900 მან., კვერცხი ათეული 270 მან., ჩაი გირ. 1,500 მან., ყავა გირ. 450 მან., პაპიროსი 25 ცალი 90 მან., სპიჩკა ერთი კოლოფი 25 მან., თამბაქო პირველი ხარისხის გირ. 1,600 მან., „ტვოროგი" 80 მან., „სმეტანა" 160 მ., საფუარი 320 მ., დოში 800 მ., ხიზილალა 800 მ., პური თეთრი 170 მან., შავი პური 80 მ., პამიდორი 120 მან., კნტრი დამჟავებული ერთი ცალი 10 მ., ზაფრანა კავკასიური 80 მან., ეტლი უბრალო 400—500 მ., ტრამვაი მოსკოვში 1 მ. 20 კ., პეტროგრადში 3 მ., აბანო 30—50 მ., სადალაქოში 25—35 მ., ფეხსაცმელი 4,000—6,000 მან. ყველა ზემო ჩამოთვლილი საქონლის შოვნა შეიძლება მხოლოდ სპეკულიანტებთან, „კარტოჩკებით" კი, თითქმის არაფერი იშოვება და თუ რამ იშოვება, ისიც მხოლოდ მცხოვრებთა განსაზღვრულ კატეგორიისათვის. ყოველ კვირას ფასებს ემატება არა ნაკლებ 20 პროცენტისა.

✦ **დამფუძნებელი კრების სხდომა.** დღეს, დილით და საღამოთი შესდგება ორი უკანასკნელი სხდომა დამფუძნებელი კრებისა მისი სადღესასწაულოდ შეწყვეტის წინ.

✦ **შორაპნის მაზრის პროფესიონალური კავშირების** დელეგატთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებელ დამფუძნებელ კრებას—ბრძოლაში ნაწრთობ დემოკრატიის ბელადს—მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს. ყრილობა ფიცს სდებს აწარმოვოს სწორი სოლიდარული მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიის საკეთილ-დღეოთ, შეებრძოლოს რესპუბლიკის გარეშე და შინაურ მტრებს. კავშირთა საბჭო.

✦ **გურიის მუშათა პროფესიონალური კავშირების** მესამე კონფერენცია შეკრებილი ოზურგეთში 27 დეკემბერს, სალამს უძღვნის საქართველოს მუშათა კავშირების საბჭოების კონფერენციას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ. კონფერენციის პრეზიდიუმი.

✦ **სტამბოლში** გარდაიცვალა გუშინ საქართველოს იქაური მისიის წევრი ი. გოგოლაშვილი.

✦ **პირდაპირი საბარგო მატარებელი ხომხეთში.** ამ დღეებში ძალაში შევა საქართველოსა და ხომხეთის რესპუბლიკათა მთავრობების შეთანხმება პირდაპირ საბარგო მიმოსვლის შესახებ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** მეორე სემესტრის სამზადისის გამო სახალხო უნივერსიტეტის ყველა ქართულ განყოფილებებში დღეიდან მეცადინეობა შეწყვეტილია 5 იანვრამდე. ლექციათა კითხვის განახლება ცალკე იქნება გამოცხადებული.

**სასურსათო საქმეების მოსაწყობათ.** სენაკის ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მას მიეცეს 500,000 მანეთი მოკლე ვადიანი უპროცენტო სესხი სასურსათო საქმეებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოხსენებას უდგენს მთავრობას, რათა მიეცეს ეს თანხა სასურსათო სამინისტროს განკარგულებაში მყოფ თანხიდან.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** საღამოს 6 ს. ს.-დ. სტუდენტთა „ეკონომიურ-მეცნიერულ წრეში" დანიშნულია მორიგი მეცადინეობა ამხ. მუხრან ხოჭოლავას ხელმძღვანელობით.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა ახალი ბროშურა „აფორიზმები" ანუ ხალხური თქმულება) კ. შახნაზაროვისა.

**კრებები**

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია სახ. რკინის გზის სამართველოს რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება, მთავარ ბუხგალტერიის დარბაზში.

— სამშაბათს, 30 დეკემბერს დანიშნულია ვერის რაიონის სახ. გვარ. საზოგადო კრება.

**პროვინციის ქრონიკა**

**სამტრედიის რკინის გზელთა კლუბი.** 31 დეკემბერს სამტრედიაში გაიხსნება რკინის გზელთა კლუბი. კლუბის გახსნაზე მიპატიჟებულნი არიან: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ს. დემ. ფრაქციის თავმჯდომარე, მთავრობის წარმომადგენელი, ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, გზათა სამინისტროს წარმომადგენელი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი, ივ. გომართელი და სხვა მრავალი პირნი და წარმომადგენელნი სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებებისა. კლუბი გაიხსნება საღამოს 9 ს. პროგრამა შემდეგია: მილოცვები, შემდეგ წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი პიესა „გამოვ ნება" ბაქრაძისა. კლუბის გახსნა დამთავრდება მუსიკალური განყოფილებით და ზეიმით.

# ბათუმი

ქალაქის სასურსათო საბჭოს პურის ფქვილი გამოელია. ინგლისის საინტენდანტომ სტამბოლიდან სესხად მისცა ქალაქს 200 ტონი (12 000 ფ.) ფქვილი. საბჭო იძულებულია დღიური ულუფა ნახევარ გირვ. გახადოს. ამასთან აცხადებენ, ეს მოვლენა დროებითია და ჩქარა თითო გირვანქა მოეცემათო. პური ქალაქის ფურნეებში 10 მანეთი ფასობს გირვანქა. იანვრიდან 20 მან. იქნება. კერძო ფურნეებში 50—60 მანეთად ფასობს.

სანოვაგის ფასები: ხორცი ძროხის 40 მან. გირ.; ცხვრის—60—70 მ., კართოფილი 10 მან. გირ.; შაქარი (ბარათებით) 30 მ., კერძოთ 120 მ.; ბრინჯი (ბარათებით) 25 მ., კერძოთ— 40 მ; ფქვილი სიმინდისა—800 მ. ფუთი; პურისა—2500 მ.

დონის ფულების კურსი თანდათანეცემა. ჩვენი ბონები დონის ფულთან შედარებით უკვე 100 პროც. მეტს ფასობს.

24 დეკემბერს ტუაპსედან მოვიდნენ გემ „ჰორონზე" მოხალისეთა მიერ დატყვევებული ჯარისკაცები, რიცხვით 120 კაცი.

ქალაქში თანდათან ვრცელდება მუცლის და პარტახტიანი ტიფი. ხშირია სიკვდილის შემთხვევები.

ადგილობრივი მთავრობის მიერ ფულის გადამხურდავებელ კანტორების პატრონებს ჩამოერთვათ ხელწერილი ბონებისა და დონის ფულების თანასწორათ გადახურდავების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორების დახურვითა და დაჯარიმებით ემუქრებიან. მიუხედავათ ამისა, ბონების ფასი მატულობს.

— გუბერნატორის განკარგულებით შესდგა შრომის კომიტეტი საკანონმდებლო ფუნქციებით. კომიტეტში შედიან შვიდ-შვიდი წარმომადგენელი მშრომელთა და კაპიტალის მხრით.

— ამ დღეებში ფოთიდან ბათუმში მოვიდა საქართველოს პატარა გემი „ტავრიდა". ამავე დროს ბათუმში იყო მოსული მოხალისეთა სამხედრო გემი, რომელიც საქართველოს გემზე ადრე უნდა გაბრუნებულიყო, მაგრამ როგორც გამოირკვა, განგებ იგვიანებდა, რათა შემთხვევა მისცემოდა საქართველოს გემს დადევნებოდა და გზაში ტყვეთ ჩაეგდო. ეს აცნობა ჩვენმა კონსულმა ინგლისის სარდლობას, რომლის გან-

კარგულებით უოხალისეთა გემი დროებით დააკავეს. ჩვენი გემი უვნებლათ გაბრუნდა უკან.

# უცხოეთი

### რუსეთი

**მდგომარეობა კავკავში.** კავკავში ყოველ დღე მოდიან ლტოლვილები ხარკოვიდან, პოლტავიდან, როსტოვიდან, კიევიდან, ნოვოჩერკასკიდან და სხვ. ამის გამო ქალაქში თავისუფალი ბინები არ იშოვება. ბევრი სავაჭრო მაღაზიები ჩამოერთვა პატრონებს და ლტოლვილების ბინათ აქციეს. ლტოლვილებს უკავიათ აგრეთვე რეალური სასწავლებელი. ყველაზე უფრო ბევრი ლტოლვილები კადეტთა კორპუსშია—დაახლოვებით 8 ათასამდე. კავკავში გამოცხადებულ იქნა მობილიზაცია, რომლის თანახმათაც ყველა მამაკაცი 56 წელზე ქვევით გაწვეულნი იქნებიან ჯარში.

**მოლაპარაკებაზე უარს არ იტყვიან.** 17 დეკემბერს მთავარ სარდლის თავმჯდომარეობით შესდგა მოხალისეთა სარდლობასთან არსებულ საგანგებო სათათბიროს სხდომა. სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ ფრონტის მდგომარეობა მეტათ სერიოზულია, თუმცა მოხალისენი დარწმუნებულნი არიან, რომ ბალშევიკების გამარჯვება დროებითია. სხდომას მოხსენდა აგრეთვე, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ მოიწვიონ ბალშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც უნდა შეათანხმოს ყველა ამ ორგანიზაციათა პოლიტიკა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მოხალისეთა სარდლობა არ იქნება წინააღმდეგი მოლაპარაკება აწარმოოს განაპირა ახალ დაარსებულ სახელმწიფოებთან თუ ამ საქმეში უცხოელები არ ჩაერევიან.

**რესტავრაციისათვის.** ბერლინიდან მოსული ცნობების თანახმათ გერმანელი მონარქისტები ბევრს მუშაობენ იმის სასარგებლოთ, რათა რუსეთში ძველი რეჟიმი აღსდგეს. გერმანიის სამხედრო პარტია, რომელსაც ლიუდენდორფი მეთაურობს, დარწმუნებულია, რომ ბალშევიკების ბატონობის დაცემას რუსეთში რესტავრაცია მოჰყვება, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა გერმანიაში ჰოჰენცოლერნების გამეფების საქმეს. ბერლინში ცხოვრობს კიევის თავადაზნაურთა წინამძღოლი—მეზაკი და სხვები, რომლებიც აგრეთვე ენერგიულათ მუშაობენ რესტავრაციის სასარგებლოთ და ბევრს ოცნებობენ რუსეთის, გერმანიისა და იაპონიის იმპერატორების კავშირზე. მონარქისტებს სახარჯოთ დიდძალი ფული მოეპოვებათ.

### ინგლისი

**ამერიკა და ხალხთა ლიგა.** ხალხთა ლიგასთან ამერიკის დამოკიდებულების შესახებ ლორდ რობერტ სესილმა შემდეგი განაცხადა: მე მეუბნებიან, რომ ამერიკის ქცევამ ჩაკლა ხალხთა ლიგა. მე ჯერ არ ვიცნობ შეერთებულ შტატების პოზიციას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერთი რომელიმე სახელმწიფოს, რარიგ დიდი და გავლენიანი არ იყოს იგი, არ შეუძლია ჩაშალოს ხალხთა ლიგის იდეა. ასეთ მოქმედებას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს ამ იდეის განხორციელება... თუ დიდ სახელმწიფოების მთავრობებს არ ძალუძთ იმაზე უკეთეს წეს-წყობილების მოცემა, რაც ომამდე არსებობდა,—ეს ისეთი დიდი გამარჯვება იქნებოდა ბალშევიკებისთვის, როგორიც ჯერ არ უნახავს არავის.

### საფრანგეთი

**გაფიცვის შეწყვეტა.** 1 დეკემბერს პარიზში დასრულდა სტამბებში მომუშავეთა გაფიცვა, რომელიც 8 კვირა გაგრძელდა და მიზნათ ჰქონდა დასახული მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება. მუშებმა თითონ შეწყვიტეს გაფიცვა რა დაინახეს, რომ სპეციალური კომისიის გამოკვლევის შემდეგ, მატერიალურ პირობების გაუმჯობესება დღეს მოუხერხებელია და გაფიცვის გაგრძელება კიდევ უფრო გაამწვავებდა მდგომარეობას.

### ბელგია

**სოციალისტური კონგრესი.** სოციალისტურ კონგრესის გახსნის დღეს ბრიუსელში საფრანგეთის ყოფილ მინისტრმა ალბერ ტომამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რამაც ძალიან დიდი ყურადღება მიიქცია. თავის სიტყვაში ტომა სალამს უძღვნის ბელგიის სოციალისტებს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის სახელით, რომელიც ბელგიას სოციალურ წეს-წყობილების ლაბორატორიათ სთვლის. ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ სოციალისტები სათანადოთ გამოიყენებენ იმ გაკვეთილს, რომელიც მისცა მათ ანტანტის გამარჯვებამ და რუსეთის ამბებმა.

### ოსმალეთი

**ქურთების დეპეშა.** ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქურთებისაგან დეპეშა მიიღო, სადაც უკანასკნელნი პროტესტს აცხადებენ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ, რომლებიც ქურთების სახელით მოითხოვენ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიის ოსმალეთისაგან გამოყოფას. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ქურთებს არ სურთ გამოეყონ ოსმალეთს, რომელთანაც მათ აკავშირებს სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება.

### სომხეთი

**სახელმწიფო ენა.** 24 დეკემბერს სომხეთის პარლამენტმა დადგენილება გამოიტანა, რომლის თანახმათაც სომხური ენა სახელმწიფო ენად ცხადდება; მისი ხმარება სავალდებულოა ჯარში და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. უცხო ენების ხმარება სახელმწიფო დაწესებულებებში განისაზღვრება სპეციალური კანონებით. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ვალდებულნი არიან მიიღონ სათანადო ზომები, რათა 6 თვის განმავლობაში სომხურმა ენამ სახელმწიფო საქმის წარმოებაში ოფიციალური ხასიათი მიიღოს.

### დაღესტანი

**მოხალისენი ზავს ითხოვენ.** მოსულ ცნობების თანახმად მოხალისეთა სარდლობას 12 დეკემბერს პეტროვსკიდან ლევაშში დელეგაცია გაუგზავნია, რომელსაც მიზნათ ჰქონდა საზავო მოლაპარაკება გაემართა მოწინააღმდეგესთან. მოხალისეთა საზავო პირობები შემდეგია: მოხალისეთა სარდლობა სცნობს მთიელთა თავდაცვას საბჭოს და მთიელთა მთავრობას; დერბენტი, თემირ-ხან-შურა და რკინის გზა აზერბეიჯანის საზღვრებიდან ვიდრე დერბენტამდე განთავისუფლებული იქნება მოხალისეთაგან; პეტროვსკი დროებით მოხალისეებს უნდა დარჩეთ.

## პასუხად „ივერიელებს"

დიდი განგაში და ბლიაძოთი ასტეხეს „ივერიელებმა" გიორგი გუჯეჯიანის გასამართლების შესახებ. მართალი გითხრათ, მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეროვნულ დემოკრატიული ანუ, როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ, „სახელმწიფოებრივი" პარტია გამოესარჩლა ისეთ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი არსებით ებრძვის საქართველოს მთავრობას და მის არსებობა-დამოუკიდებლობას. და თუ ის მაინც გამოესარჩლა გუჯეჯიანს, ამით ერთხელ და სამუდამოთ აეხადა ფარდა მათ მუშაობას.

საქმე შემდეგში იყო: გ. გუჯეჯიანი იქნა დაპატიმრებული საჩხერის რაიონში მომქმედ შორაპნის სახალხო გვარდიის საველე შტაბის მიერ, როგორც მთავრობის საწინააღმდეგოთ აგიტაციის გამწევი, ხალხის ამღელვებელი და ხელის შემწყობი იმ ანარქიისა, რომელსაც დღე-დღეზე ელოდენ საჩხერის რაიონში მიმდინარე წლის ნოემბერში.

რომ საჩხერის რაიონში გამოსვლები უნდა დაწყებულიყო (რომ გვარდიას ხელი არ შეეშალა), ამის ფაქტები ბევრია: 1) სისტემატიური კრებები გორის მაზრისა და ადგილობრივი მეამბოხეთა სოფ. ჩონთოში. 2) შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის უტყუარი ცნობები, რომლის მიხედვით ერობა გვთხოვდა დაუყოვნებლივ ზომების მიღებას; 3) საჩხერის ყოფილი თავადობა და მემამულეები გახიზნული იყვნენ თფილის-ქუთაისში.

საველე შტაბი, მივიდა რა საოქმედო რაიონში და შეუდგა რა სასწრაფოთ მთავრობის ბრძანებების შესრულებას, ამავე დროს ახდენდა დამნაშავეთა და გამოსვლების მთავარ მიზეზების გამოკვლევას. შეკრებილი მასალიდან შტაბი დარწმუნდა, რომ ხალხში დიდ პროვოკაციას ჰქონოდა ადგილი. ოჯახური კითხვების მოუწესრიგებლობაშიაც ბრალი თურმე მიუძღვის ჩვენს მთავრობას: შეშის არ ქონა, თანამედროვე სიძვირე, უსურსათობა და სხვა არის მიზეზი დღევანდელი ჩვენი „მატყუარა", „ჯიბგირ" და „ყაჩაღების" მთავრობისა (გიორგი გუჯეჯიანის სიტყვებია). საკმარისია ასეთ მთავრობას „კეტებით და ნაჯახებით შეუტიოს ხალხმა, რომ „ჯიბგირ-ყაჩაღების მთავრობა დაემხოს" (გ. გუჯეჯიანის სიტყვებია).

ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ საჩხერის რაიონში ხალხი ძლიერ ჩამორჩენილია, მასთან ბალშევიკური სტიქია სავსებით არ გამქრალა, და საკმარისი იყო ერთი ფართო პროვოკაციის „ხოდში" გაშვება, რომ იგი ელვის სისწრაფით მოედებოდა მთელ რაიონს. ნიადაგი უკვე მომზადებული იყო და თუ არ გავხდით შარშანდელი ამბების განმეორების მოწმენი, ამას უნდა ვუმადლოდეთ შორაპნის სახალხო გვარდიას, რომელმაც დროზე მიიღო სათანადო ზომები, დამნაშავენი დასაჯა, ხალხში გავრცელებული პროვოკაცია გაფანტა და ადგილობრივი მშვიდობიანი მცხოვრებნი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

საჩხერის რაიონში ამბოხების მოთავენი ორ ბანაკათ განიყოფიან: 1) რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდენ არსებული წეს-წყობილების დასამხობათ; 2) რომლებიც მომწამვლელ აგიტაციით პროვოკაციის ქსელში ხვევდენ ხალხს და მოუწოდებდენ ამ უკანასკნელთ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებისაკენ. თუმცა ეს ორივე ბანაკი არსებითად ერთსა და იმავეს აკეთებდენ, მაგრამ მეორე ბანაკს და კერძოთ გიორგი გუჯეჯიანს დიდი ბრალი მიუძღვის ამ საქმეში.

ავღაპარაკოთ ფაქტები: 1) ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გიორგი გუჯეჯიანი ხვდება 40-მდე ტყეში შეშაზე მიმავალ მეურმეებს. გუჯეჯიანი ეკითხება: „სად მიხვალთ თქვენ ვირებო, ხომ ხედავთ ჩვენმა მთავრობამ დაგიკავათ მთა-ტყე; მთავრობას ტყე ვინ მისცა... ტყე ხალხის არის... ეხლა შეშა დაგიბეჭდათ; აწი სულ ტყავს გაგაძრობთ—გასაქანს არ მოგცემთ... ეხლა ჩვენს მთავრობას არაფერი არ შეუძლია; თუ თქვენ მოინდომებთ და ჯოხებით და ნაჯახებით შეუტევთ მას, იგი დაემხობა და განთავისუფლდებით მისგანო და სხვა... (ჩვენება ერთ-ერთ მოწმისა); 2) ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გ. გუჯეჯიანი პარასკევობა დღეს ქ. საჩხერეში ელაპარაკებოდა ხალხს: „ჩვენმა მთავრობამ დაგვღუპა; იგი მატყუარაა... მთავრობაში ჯიბგირები და ყაჩაღები გვყავს; ისინი თავის ჯიბეზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვინემ ხალხზე... გაივსებენ რა ისინი თავის ჯიბეს, გაიქცევიან საზღვარ-გარეთ, როგორც ეს 1905 წ. მოიმოქმედესო". (ჩვენება 2 მოწმისა). გამსჭვალული იმ აზრით, რომ საქართველოს მთავრობა დამხობილიყო, გ. გუჯეჯიანი არ დასდევდა არავითარ საშუალებას; იგი თანახმაა დენიკინის შემოსვლის, სვანების შეიარაღებული რაზმის გადმოსვლის და სხვა... ამასთან ერთად გუჯეჯიანი ერთი მთავარი მოწინააღმდეგეა საქართველოს დამოუკიდებლობის, იგი მელი თავისი შეგნებით უმტკიცებს მოწმე შალვა ჭუმბურიძეს, რომ საქართველოს არ შეუძლია არსებობა, მას არაფერი არ აქვს, არაფერი არ მოეპოვება.. მინისტრები გაქცეულნი არიან, ნ. ჟორდანია გადადგა და სხვა... და სხვა მთელი რიგი ფაქტებისა.

ორიოდე სიტყვა საქმის გამოძიებაზე. ბ. ბ. „ივერიელები" ძლიერ გაკვირვებია იმ გარემოებას, რომ ფრონტზე გამოძიებას აწარმოებდა საველე შტაბი. ვის უნდა ეწარმოებინა, თუ არა გვარდიის საველე შტაბს? იქნებ თქვენ მოითხოვდით, რომ გამოძიება ეწარმოებინა საგანგებო საქმეების გამომძიებელს? ეს არც კანონით არის აუცილებელი და არც დრო და საშუალება გვქონდა ჩვენ ამისი. გამოძიება იყო სრულიად მიუდგომელი. დაკითხული მოწმეების შესახებ მოგახსენებთ ბ. ბ. „ივერიელებო", რომ დაკითხვის დროს გ. გუჯეჯიანმა სთხოვა საველე შტაბს, რომ მას ჰყავს კერძო მოინტერესენი, რომლებიც მან თავის ჩვენებაში დაასახელა 30-მდე კაცი, და თუ შესაძლებელია მათ ნუ დაკითხავთო. საველე შტაბს მათთვის სრულიათ არ დაუკითხავს.

შემდეგ უნდა განვმარტო, რომ გუჯეჯიანისათვის დამცველის აყვანის უფლება საველე შტაბს არ წაურთმევია. გუჯეჯიანმა სთხოვა შტაბს, რათა ამ უკანასკნელს გამოეწერა გუჯეჯიანისთვის დამცველი თფილისიდან. შტაბმა ეს თხოვნა უარყო. ხოლო წინდაწინვე შეატყობინა გ. გუჯეჯიანს საქმის გარჩევის დრო, რის შემდეგაც ბრალდებულმა გიორგი გუჯეჯიანმა აიყვანა დამცველათ შ. იზხნელი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ჩემი პიროვნების შესახებ. ბ.ბ. „ივერიელები" ჩემს პიროვნებას ახსენიებენ ოხუნჯობა-დაცინვით. მათი კილო და ეთიკა მათთვის დამილოცნია; მე არც ვაჭიროებ მათ ქება-დიდებას. მე კი ყოველივე ჩემს მოქმედებაში პასუხისმგებელი ვარ, როგორც მთავრობის, ისე იმ ორგანოების წინაშე, რომლებმაც მე ამომირჩიეს და საქმე ჩამაბარეს.

საჩხერის რაიონში მომქმედ შორაპნის სახალხო გვარდიის ყოფილი საველე შტაბის თავმჯდომარე **ს. გოცაძე.**

— —

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა აღშფოთებულია იმ პროვოკაციით, რომელსაც იწევს გაზეთი „ივერია" № 38 მეთაურში ნაციონალ დემოკრატების სახელით ჩვენს მაზრაში არავითარ თვითნებობას, ძალადობას და რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ შეუფერებელ მოქმედებას ადგილი არ ქონებია და არც ექნება, ადგილობრივი გვარდია ყოველთვის და ეხლაც მოქმედობს მხოლოდ ადგილობრივი მართველობის დავალებით. კერძოთ მოქალაქე გვალია დაპატიმრებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 29 ნოემბრის ბრძანების დარღვევისათვის: აღმოუჩნდა სამი ვინტოვკა პატრონებით. მინისტრის ბრძანება ადგილობრივათაც საგანგებო განცხადებით იყო გამოქვეყნებული და ნუ თუ ამის შემდეგ მისი დარღვევისათვის მოქალაქის დაპატიმრება ძალმომრეობაა? დაპატიმრებულთა შორის სოციალისტებიც არიან. იქნებ ესეც ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგაა?

თავმჯდომარე ბუაჩიძე, გამგეობის წევრნი მენაღარიშვილი, დეკანოზიძე.

## სპეკულიანტთა ოინები

ჩვენ ვიცით, რომ დღეს სპეკულიაცია იზრდება და თანდათან ვითარდება. ამისი მიზეზები ბევრია, რომლის ახსნა-განმარტებას ჩვენ აქ არ შეუდგებით. სპეკულიანტთა მადა უსაზღვრო ხდება, ბოლო ხანებში ძალიანაც გაათამამდენ ეს ჯიბის მოტრფიალე ხალხი, რომლის დამამტკიცებელი საბუთები ბევრია. მეტი წილი მათი საქმიანობა სჩანს სინათლეზე რკინის გზების ირგვლივ, რასაც ამტკიცებს თფილისის საქონლის სადგურზე მომხდარი ამბები. „შაგმატის" სავაჭრო სახლის წარმომადგენელს შეუტანია თხოვნა მომარაგების სამინისტროში, რომ მათ ნება დართონ 5,000 ცხვრის ტყავის გატანისა. როგორც ნამდვილი წყაროებიდან ვიცით, ეს თხოვნა გადაგზავნილია სამხედრო სამეურნეო კომისიაში დასკვნისათვის. ჩვენ არ ვიცით რა დასკვნა მისცა კომისიამ, მხოლოდ ერთი კი ვიცით, რომ ერთმა მოხელემ მომარაგების სამინისტროსამ გაუკეთა რეზოლიუცია ხსენებულ თხოვნაზე, რომ მისცემოდა ნებართვა. 20 ნოემბერს საქმე სისრულეში მოიყვანეს, გაცემულა ნებართვა შემდეგი ნომრით 5979. ასლიც მოუვიდა მთავარ საბაჟოს, როგორც ხდება ყოველთვის. საქმე გაიჩარხა, საქონელიც მოიტანეს სადგურზე მეათე საწყობში გადასაგზავნათ საზღვარ გარეთ, ჩვენ ეჭვი გვეპარება ნებართვის კანონიერებაზე, უფროსმა რევიზორმა ალშიბაიამ ჩამოართვა ნებართვა და საქმის ძიებას შეუდგა. როგორც გამოირკვა, ნებართვა მართლაც გაცემული ყოფილა სამინისტროსაგან, ყოველივე ფორმალური მხარე შესრულებულია, მხოლოდ ნებართვა ყალბია. ჩვენ ერთი გვწამდა ამ შემთხვევაში, რომ მას ჩვენი რესპუბლიკის მოყვარული ხელს არ მოაწერდა იმ პირობებში, რა პირობებშიაც ეს ნებართვაა გაცემული. ამან მოგვცა საშუალება საქმის გამოძიებისა. ნებართვაზე არ აწერს ხელს მომარ. განყოფილების უფროსი დიდიძე. მისი გვარი დაუწერია ვიღაცა სხვას, რომლითაც უნდა ჩაითვალოს ხსენებული ნებართვა უსაფუძვლოთ და არც უნდა იქნას დატოვებული ეს მოვლენა უყურადღებოთ.

ახლა მე მგონი არც ის იქნება ინტერესს მოკლებული, თუ როგორ ვაჭრობენ ეს ვაჭბატონები ყალბი ნებართვებით. ეს ნებართვა ჩვენ ვნახეთ არა „შაგმატის" ხელში, არამედ—„სტუკენის" (სავაჭ. სახ.). „სტუკენს" და „შაგმატს" არავითარი საქონელი არ შემოუტანიათ საზღვარ გარეთიდან, ამიტომ არც ნება ჰქონდათ გაეტანათ რაიმე. მაგრამ ისე მოეწყო საქმე, რომ შესძლეს 20,000 ცხვრის ტყავის გამოცოცება, რომელიც დატვირთეს ხუთ ვაგონში, მაგრამ ბედმა უმტყუნა, სინამდვილე გამოჩნდა. დღეს ხსენებული საქონელი ეკუთვნის „სტუკენს". ეს საქონელი საბაჟომ იცნო, როგორც კონტრაბანდი, რაც საჭავო არ იქნება და ჩამოართვა „სტუკენს" და დააჯარიმა იგი 4 მილიონი მანეთით. საქონელი ღირს ორი მილიონი, რაც უკვე გადმოცლილია და ინახება საბაჟოში. ამ ტყავებზე არის საუკეთესო ბეწვის მატყლი, რაც დიდ საჭიროებას შეადგენს დღეს ჩვენი სახელმწიფოსათვის. საბაჟოს შეხედულება ამ საქმეზე სამართლიანია და მიზანშეწონილი.

მეორე შემთხვევა. საინტერესოა კიდევ ის, როგორ შეჰყავთ შეცდომაში უცხოელები სპეკულიანტებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიეცა მოწმობა შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის რობერტ დერიასთვის შემდეგი შინაარსის: არვის ნება არ ეძლეოდა ჩვენ ტერიტორიაზე გაესინჯა ხსენებული პიროვნების ბარგი. საიდანაც იყო, ასეთ პირსაც გაუჩნდა სპეკულიანტი, რაც სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს. რობერტ დერიას ქონდა ორი ჩემოდანი. მან ეს ჩააბარა რკინის გზას გადასაგზავნათ და საბაჟოს მორიგე მოხელეს წარუდგინა მოწმობა და თანახმათ მოწმობისა, ის იქნა მიღებული გაუსინჯავათ. ამ დროს გამოჩნდა ბ. ალშიბაია (უფროსი რევიზორი) და მიმართა ბოდიშის მოხდით და ზრდილობიანი სიტყვებით პატრონს ჩემოდნისას—სთხოვა გაეხსნა, რადგანაც იყო ცნობა, რომ იმ ჩემოდნებში იყო არა საოჯახო ნივთები, არამედ—სულ სხვა. ის წინასწარ გატყდა, რომ მას დაავალა ერთმა ყოფილმა სომხის აფიცერმა იმ ჩემოდნების წაღება პარიზში. შემდეგ გახსნეს ჩემოდნები და აღმოჩნდა შიგ ძვირფასი ქუდები 500 კოლოფი შეფასებული 125 ათასი მანეთად. დერიამ განაცხადა, რომ ის შესცდა და ამაში ბრალს სდებდა სპეკულიანტებს. ამ დღეებში აღმოაჩინეს კიდევ ამერიკულ საფოსტო ვაგონში 4 „ტიუკი" ფართლეულობა, საქონელი შეადგენდა სპეკულიანტების საკუთრებას, რაც ჩამორთმეულ იქნა—შეფასებულია 30,000 მანეთად. მე აქ მოვიყვანე მხოლოდ ორი სამი ფაქტები. რაც აქ რკინის გზაზე ჩვენ გვინახავს და ხდება, ეს პირდაპირ აუწერელია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის უფროს რევიზორს ბ. ალშიბაიას და კ. ფაჩულიას. ისინი მუდამ დარაჯათ იდგენ და დღესაც უდგანან ყველა ჩვენთვის საჭირო საქონლებს, რომ ისინი არ იქნას უკანით გატანილი. ამასთანავე დიდი შრომა მიუძღვის რკინის გზელებს განსაკუთრებით ბ. ჯიქიას, მიქაბერიძეს და ა. ჭეიშვილს. ისინი თავსაც არ ზოგავდენ, მუდამ თავის ალაგას იდგენ და დგანან. მათთვის არ არსებობს რვა საათის სამუშაო დღე. ერთი სიტყვით, პირდაპირ დაუფასებელია ამ ადამიანების შრომა და ვუსურვებ მათ, რომ ევლოთ დაწყებული გზით. დე იცოდეს ეს ყველამ, რომ არის მოწყობილი ისეთი აპარატი, რომლის საშვალებით ჩვენ არაფერი არ გაგვეპარება. დე, ისიც იცოდენ, რომ უცხოელებიც აღარ ინდობენ იმ უსირცხვილო სტუმრებს, რომლებიც მათ მოსვენებას არ აძლევენ და ძალით უვარდებიან ვაგონებში.

ჩვენ ვიცით, რომ მატყლზე და ზოგიერთ საქონელზე მთავრობის მიერ არის გამოცხადებული მონოპოლია, ამ საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ უცხოეთის სხვა და სხვა საქონელი, რაც დიდ საჭიროებას შეადგენს დღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის. მთავრობის ასეთ ნაბიჯზე დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი დემოკრატია. ჩვენ დღეს იმაზე ვფიქრობთ და ვოცნებობთ, როდის მოადგება ფოთს საქონლით დატვირთული გემი, რასაკვირველია, ჩვენ ვიმედოვნებთ მომავლის იმედით და ყველაფერი გაჭირვება გადაგვაქვს რესპუბლიკის და თავისუფლების სიყვარულით. ამ დროს გვევლინებიან დაუნდობელი მტრები სპეკულიანტების სახით და ხელიდან გვტაცებენ ჩვენს უკანასკნელ იმედს. ვიცით, რომ მატყლი ჩვენი სახელმწიფოს ვალი, ვალუტაა. ისიც ვიცით, თუ რას ნიშნავს ვალიუტა სახელმწიფოსათვის, ისიც ვიცით, რომ ჩვენ ვალიუტა თუ არ გვექნა, ვერ ვიარსებებთ. ამ დროს ვხედავთ სპეკულიანტს ყალბი დოკუმენტებით ხელში, რომელსაც გააქვს სავალიუტო საქონელი. როგორ უნდა ვიცნოთ ჩვენ ეს ვაჭბატონები? მე მგონია, როგორც მოღალატენი რესპუბლიკის და გასამართლებული უნდა იქნან როგორც მტრები და მოღალატენი ჩვენი არსებობის. ამას მოვითხოვთ ჩვენ და ამასვე მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესებიც.

ნ. ჯიბლაძე.

## კულტურული მუშაობა ჯარში

დაახლოვებით ამ ორი თვის წინათ დაიწყო კულტურული მუშაობა ჯარში ალ. ქორქოლიანის ხელმძღვანელობით; იკითხებოდა ყველა ნაწილებში საერთოდ, და კერძოთ მესანგრე ათასეულში ლექციები სხვადასხვა თემებზე; მესანგრე ათასეულში იქნა წაკითხული რამოდენიმე ლექცია დემოკრატიული ჯარის მოვალეობაზე—მის შეგნება-გათვითცნობიერების მნიშვნელობაზე და სხვ. იქნა გამოწერილი გაზეთები, და თუმცა სამკითხველოს მოუწესრიგებლობის გამო, დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო საშუალებას სავსებით ესარგებლნათ გაზეთით, მაგრამ ცოტაოდნათ მაინც ეძლეოდათ ჯარისკაცებს საშუალება გასცნობოდენ მდგომარეობას, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღევანდელ პირობებში, და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შეგნებული ჯარის შექმნისთვის. მაგრამ, სამწუხაროთ, არამც თუ სამკითხველოს მოწყობით, კულტურულ მუშაობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება, რაც ჰქონდა დასახული მიზნად კულტურულ-განმანათლებელ სექციას, არამედ ის ორი ცალი გაზეთი, რომლებიც მოგვდიოდა ერთი თვის განმავლობაში (13 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე) გამოგვეცალა ხელიდან. ვეკითხებით „სამკითხველოს გამგეს" მიზეზს გაზეთის შეწყვეტისას და პასუხს ერთს და იგივეს ვღებულობთ: „ფულს არავინ მაძლევს, რომ გამოვიწეროვო". რაშია საქმე? ნუ თუ კულტურულ-განმანათლებელ სექციას იმდენი თანხა არ მოეპოვება, რომ ეს ადვილი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი მხარე მისდამი მინდობილ საქმისა დააკმაყოფილოს?

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათ ცნობამდე არც მისულა, თორემ ასეთ მდგომარეობაშიც არ დასტოვებდენ. ეხლა ვაცნობებ რა ამით, ბ. ალ. ქორქოლიანს ამ არა სასიამოვნო მოვლენას, ვიმედოვნებ, მიიღებს ყველა ამას მხედველობაში, და სანამ მათი მუშაობის მტკიცე ნიადაგზე დაყენების საბოლოო მიზანი განხორციელდებოდეს (მოწყობა თეატრისა, სათანადო სიმაღლეზე დაყენება სამკითხველოსი, სისტემატიურათ ლექციების კითხვა და სხვა) ეცდება, რათა გამოგვიწეროს გაზეთები და ამით მოგვცეს საშუალება, გავერკვეთ დღევანდელ მდგომარეობაში, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დემოკრატიული ჯარის [illegible]ციისთვის, აღარ ექნება ჯარში გასავალი არავითარ პროვოკაციას და ნათლათ შეეძლებათ წარმოდგენა, თუ რას ემსახურებიან ისინი.

ხალვარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექიმი იოსებ შავგულიძე

ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო და ხელიდან გამოგვაცალა სხვისი მანუგეშებელი და სიკვდილის მტერი, იოსებ შავგულიძე. იოსები იყო მეცნიერების გულწრფელი დამცველი და ამ ბასრი იარაღით ებრძოდა კაცობრიობის ყოველგვარ გამანადგურებელ სენს.

იოსები ღარიბ ოჯახიდან იყო გამოსული და ხშირად ნახავდით ღარიბებთან, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. მისთვის არ არსებობდა არც ცუდი ამინდი და არც დაღლილობა და თავდადებით უჩენდა საექიმო დახმარებას ავათმყოფებს, რითაც, დიდი სიყვარული დაიმსახურა ხალხში.

ულმობელმა პარტახტინმა სენმა გამოასალმა წუთი-სოფელს სხვათა მარჩენალი და ყველასათვის საყვარელი ექიმი. მას დარჩა წვრილი ცოლშვილი და მოხუცებული დედმამა უმწეოთ.

აღარ გვყავს ჩვენი მფარველი საყვარელი იოსები, მაგრამ მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენში.

ვლ. ხელაძე.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 24 დეკემბერს შესდგა ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით ს. ს.-დ. მუშ. პარტიის პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. პირველად კრება ისმენს მოხსენებას ადგილებიდან:

ამხ. დ. კალაძე: (მთავ. სახელ. ქვე კოლექ. წარმომად.) მთ. სახელოსნოების პროფ. კავშირის სექციის არჩევნები დასრულდა. სულ მთავ. სახელოსნოებში ხმის მიცემის უფლება ჰქონდა 2290 კაცს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1880 კაცმა. ამათში სოც. დემ. სიას № 1 მისცეს ხმა 1440 კაცმა, ბალშევიკებისას № 5—426 კაცმა.

სოც.-დემოკ—ს სექციაში ეყოლება 13 წევრი. ასე რომ ამ არჩევნებშიაც ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ჩვენმა პარტიამ. ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა გაამართლონ მუშების ნდობა. პირველ ყოვლისა უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს მუშების ნივთიერ უმწეო მდგომარეობას: სურსათის თავის დროზე მიწოდებას და მისი წესიერათ განაწილებას.

ამხ. ა. მეტრეველი (დეპო ქვე კოლექ. წარმ.) დეპოში ამომრჩეველთა რიცხვი 900 კაცამდე იყო, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 746 კაცმა. ს. დ. სიამ № 1 მიიღო 608 ხმა, ბალშევიკებისამ № 5—138 ხმა, დეპოდან ბოლშევიკებს ეყოლება სექციაში ორი წევრი, მემანქანეთა სექციაში არც ერთი. საქ. და სახალხო სადგურებზე არჩევნების შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული.

ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე, რომელიც თავის მოხსენებაში აღნიშნავს რესპუბლიკის სურსათის მხრივ მძიმე მდგომარეობას; მიღებულია ზომები, რომ პური თავის დროზე მივიღოთ—ამბობს ორატორი, მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ—რომ ევროპა თითონ დამშეულია და იმდენ პურს მაინც ვერ მოგვცემს, რამდენიც მცხოვრებლებისათვის საჭიროა.

კრებამ მოხსენება მიიღო ცნობათ. ამასთანავე ორატორები საყვედურს გამოსთქვამენ სურსათის უწესრიგოთ განაწილების შესახებ. იმ დროს, როდესაც მუშები შიმშილს განიცდიან, საზოგადოების დანარჩენი ნაწილები ფუფუნებით სცხოვრობენ. ერთ მხარეზე ფუფუნება—მეორე მხარეზე შიმშილი-მოთმინება... ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია—შეიძლება მოთმინების ფიალა აივსოს და ამას კი ცუდი შედეგები მოჰყვეს—კოლექტივმა საჩქარო ზომები უნდა მიიღოს მთავარ-სახელოსნოების მუშების უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

მიშა ლაშქარაშვილის და გორის ს.-დ. ცენტრის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ კრებამ გადასწყვიტა მოიწვიოს არაჩვეულებრივი კოლექტივის და ნაძალადევის სახალხო გვარდიის შტაბის წევრთა შეერთებული კრება საგამომძიებლო კომისიის მიერ აღნიშნულ უთანხმოების შესახებ შეგროვილ მასალების მოსასმენათ..

ლექციების მოწყობა მიენდო კოლექტივის მდივანს—ქვე კოლექტივების თავმჯდომარეებმა კი უნდა მიიღონ ზომები, რომ ლექციებს მსმენელთა საკმაო რიცხვი ესწრებოდეს...

დეპოს ქვე კოლექტივების წერილობითი განცხადების შესახებ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ვინაიდან დეპოს ქვე კოლექტივი არ ეთანხმება კოლექტივის გადაწყვეტილებას ალ. მიქაძეს პარტიიდან გარიცხვის შესახებ ე. ი. კოლექტივის მიერ თანახმათ საგამომძიებლო კომისიის მიერ შეგროვილ მასალებისა, ალ. მიქაძეს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას არ

# დღეს

მოკავშირეებმა აცნობეს გერმანიას, რომ ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევა შეერთებული შტატების დაუდასტურებლადაც.

ბოლშევიკების ცნობით გერმანიაში შეხდგა თავდაცვის წრეები, რომელთა მიზანია ვერსალის ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარებას წინააღმდეგობა გაუწიონ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა გალერის ჯარში გერმანიის ყოფილი ტყვეების იძულებით წაყვანის წინააღმდეგ.

გერმანული პრესის ცნობით ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში დაამარცხეს ინგლისის ჯარები.

საბჭოთა ჯარი, ბოლშევიკების ცნობით, დონის როსტოვს უახლოვდება.

იტალიის და სამხრეთ-სლავიის დელეგატები შეთანხმდენ ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოებისა და სხვა საკითხებში.

იტალიელი ინვალიდების რიცხვი 219.145 უდრის.

---

ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ. ორატორი განაგრძობს:) დიახ, ჩვენ თითქმის მივაღწიეთ დემოკრატიზმის განმტკიცებას, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩვენ კვლავ ვიბრძვით და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის მისაღწევათ. ჩვენ ვდგევართ მეცნიერულ სოციალიზმის ნიადაგზე და ვიცით, რომ ჩვენი საბოლოო მიზნების მისაღწევათ საჭიროა მომწიფება ობიექტიური პირობებისა—წარმოების სათანადოთ განვითარება, ამიტომ ჩვენს წრეში არ არიან მაქსიმალისტები და ვერც იქნებიან. დასასრულ ორატორი ამბობს: აი ამ დროშას, ამხანაგებო, დღეს ჩვენ ავაფრიალებთ ჩვენი სასახლეზე და ფიცსა ვსდებთ, ვიბრძოლოთ მანამ, სანამ ჩვენი საბოლოო მიზანი,—სოციალიზმი განხორციელებული არ იქნება. გაუმარჯოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას. (ტაში).

გრ. გიორგაძე ესალმება და ულოცავს თფილისის პროლეტარიატს მუშათა სასახლის გახსნას და ამბობს: დღევანდელი დღე გვირგვინია, დასკვნაა იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი დემოკრატია აწარმოებდა თავისუფლების მოსაპოვებლათ. თუ გადაავლებთ თვალს იმ ბრძოლას, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებდა, იმ გზას, რომელიც მან გაიარა, დაინახავთ, რომ ეს გზა ძალზე ეკლიანია, რა არ შეხვდა ჩვენს დემოკრატიას ამ ბრძოლის დროს; პირდაპირ ჯოჯოხეთური პირობები იყო, მაგრამ მან სძლია ყველაფერი და ერთი დიდი ნაბიჯი უკვე გადადგა თავისი საბოლოო მიზნისკენ—სოციალიზმისკენ. საქმის ერთი ნახევარი უკვე გაკეთებულია: ჩვენ უკვე გვყავს დამფუძნებელი კრება, რომელიც აწყობს, აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ მტკიცე საფუძველი მოუმზადოს სოციალიზმს. აი ის გზა, რომლითაც მიდის მთელი მუშათა მასა, დამფუძნებელი კრება, თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი მთავრობა, აი ნაყოფი თქვენი ბრძოლისა. ბედნიერი ხართ, რომ თქვენ თვითონ ხედავთ იმ ნაყოფს, (დემოკრატიულ წყობილებას), რომელზედაც უნდა აშენდეს სოციალიზმი. მხურვალეთ გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღეს, გილოცავთ ამ ნაბიჯის გადადგმას. გაუმარჯოს თფილისის პროფესიონალურ კავშირებს, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს (მხურვალე ტაში).

მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ნ. ჟორდანია. მის გამოსვლას ცხარე ტაშით ხვდება დარბაზი. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ. უცბათ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა სმენათ გადაიქცა. ორატორი იწყებს: ამხანაგებო, ნება მომეცით, მოგილოცოთ თქვენ მუშათა სასახლის გახსნა. ეს სახლი გარეგნულათ სრულიად არა გავს მუშათა სახლს. არც ეს ქუჩა გავს იმ ქუჩებს, რომლებზ დაც უხდებოდათ ცხოვრება მუშებს. და აი, მუშათა სასახლის გახსნა სწორედ ამ სახლში, რომელიც აგებული იყო მაღალი კლასებისათვის, სწორედ ეს გვიჩვენებს დღევანდელი მდგომარეობის აზრს, შინაარს. ეს ჩვენ გვიჩვენებს რევოლიუციის აზრსაც, გვიჩვენებს იმასაც, რომ მუშები გამოდიან თავიანთი ბნელი, ვიწრო ქუჩებიდან და იკავებენ საუკეთესო სახლებს ჩვენ დედა ქალაქ თფილისისა. მას შემდეგ, რაც მუშებმა დაიპყრეს პოლიტიკური ძალა-უფლება და დაიკავეს ის სასახლე (დამფუძნებელი კრების სასახლე), სრულიად ბუნებრივია ამ მუშათა სასახლის დაკავება. და აი, ამ სასახლის გახსნა გვიჩვენებს, რომ მუშები უფრო ახლო დგებიან, მჭიდრო კავშირს იკავებენ იმ ხალხთან, რომელნიც იმყოფებიან იმ სასახლეში და რომლებიც თქვენზე ეყრდნობიან. ჩვენ მიჩვეული ვართ თქვენგან დირექტივების, დახმარების მიღებას და მე იმედი მაქვს, რომ თქვენ კვლავ არ მოგვაკლებთ ამ დახმარებას, გააგრძელებთ თქვენს პოლიტიკას.

თუმცა თქვენი პროფესიონალური კავშირები პოლიტიკას არ ეწევიან, მაგრამ წმინდა პროფესიონალური მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. და აი, თქვენ უნდა გვიკარნახოთ დირექტივები და ჩვენ ძათ ცხოვრებაში გავატარებთ მუშათა კლასის სახელით, მისი ინტერესების მიხედვით.

აი ამ სახლში გაერთიანებულია თფილისის პროფესიონალური კავშირები და მე ვისურვებდი, რომ ამ სახლში გაერთიანებულიყვნენ მთელი საქართველოს კავშირები. ეს ცოტაა, მე ვისურვებდი, რომ ეს სადი პოლიტიკა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ, გადასროლილ იყოს საქართველოს საზღვრების გარეშე, განსაკუთრებით ბაქოში და სხ. ცენტრებში. გილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღეს. (ცხარე ტაში).

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ნ. რამიშვილი, (რომლის გამოსვლას ტაშის ცემით ხვდებიან) ამხანაგებო, გილოცავთ თქვენს დღესასწაულს იმ პარტიის სახელით, რომელიც 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში. ეს პროფესიონალურ კავშირთა დღესასწაული, პირველ ყოვლისა სოციალდემოკრატიული პარტიის დღესასწაულია. სოც.-დემოკრატიული პარტიის იმიტომ, რომ მან შესძლო მუშათა კლასის ორგანიზაციულათ შეკავშირება და სოციალიზმის გზისკენ დაყენება. თქვენ დღეს აქ დაინახეთ ის პირველი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო თფილისის პროლეტარიატმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენ შეგიძლიათ მოიგონოთ, თუ რა გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ეს პარტია ძველ რეჟიმთან, აწყობდა იაჩეიკებს, ორგანიზაციებს და სხ. მთელი ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი დამარცხება უგემებია ბურჟუაზიული წყობილების დამცველებისაგან, მაგრამ თითეული დამარცხება, მსხვერპლი იწვევდა ჩვენი ენერგიის გაათკეცებას და ჩვენ ამ ბრძოლის შემდეგ მოვახერხეთ სარდაფებიდან გამოსვლა და სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, რომ ეს უკანასკნელი გვქონოდა იარაღათ ჩვენი მომავალი მიზნისათვის ბრძოლაში. საბოლოო მიზანი მიღწეული არაა, მაგრამ ერთი რამ უექველათ გაკეთებულია: ჩვენ ეკლიანი გზა გავკაფეთ და საშუალება გვაქვს თავისუფლათ შევკავშირდეთ ორგანიზაციაში და აი, ამ მუშათა სახლში მუშათა კლასს შეუძლია თავისუფლათ ემზადოს მომავალი ბრძოლისათვის: თავისი შეგნება-შემეცნება განავითაროს. სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ ცდილობდა თქვენზე გავლენა მოეხდინა თავისი რაზმების გ საძლიერებლათ, მაგრამ თქვენ მაინც არ სცილდებოდით იმას, ვინაიდან მიზანი თქვენი და ჩვენი პარტიისა ერთი იყო: სოციალიზმის დამყარება. შემდეგ ორატორი ეხება იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდება მუშათა კლასს დღეს ცხოვრება და ამბობს: დღეს ჩვენ გვახრჩობენ გარეშე პირობები (ბლოკადა და მოსალოდნელი შიმშილი), მაგრამ მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი მხნეობა და ძალა დაგვეხმარება ჩვენ არა მარტო დემოკრატიზმის განმტკიცებაში, არამედ—საბოლოო მიზნის—სოციალიზმის დაახლოვებაში. მე მოგესალმებით რა სოციალ დემოკრატიული პარტიის სახელით, მწამს, რომ თქვენ და ჩვენი პარტია ხელი-ხელ ჩაკიდებული ვივლით საბოლოო გამარჯვებისაკენ და შეთანხმებით, შეერთებული ძალებით დავამკვიდრებთ სოციალისტურ წყობილებას (მქუხარე ტაში).

რ. არსენიძე, რომლის გამოსვლას ტაშით ეგებებიან, დამფუძნებელი კრების სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ამბობს: ამხანაგებო, იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ჩვენ ამ დიდ პროსპექტზე ამოვედით, მარტო სისხლის სადვრელათ და სადემონსტრაციოთ კი არ ამოვსულვართ, არამედ—ახალი პოზიციების დასაპყრობათ. წარსულ წლეებში ჩვენ ვიბრძოდით არა იმიტომ, რომ გვეჩვენებია ჩვენი თავგანწირვა, თავდადება, არამედ ჩვენ მივისწრაფოდით და მივილტვოდით იქეთკენ, სადაც იჭედებოდა ჟონობის ბორკილი, სადაც იწერებოდა ბურჟუაზიის გამძაგრებელი კანონები, და გვსურდა იმ დაწესებულების დანგრევა-მოსპობა. და დღეს, როდესაც ჩვენ პოლიტიკურათ უკვე გამარჯვებულნი ვართ, მუშათა კლასი იქვე მოდის, სადაც წინეთ ბორკილებს უჭედავდენ და სურს დღეს იქ მან განამტკიცოს თავისი ბატონობა, ამხ., პოლიტიკური ბატონობა მუშათა კლასისა დღეს უკვე ფაქტია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ამას აუცილებლათ უნდა მოჰყვეს მისი ეკონომიური განთავისუფლება და ბატონობაც. უნდა მოჰყვეს იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ცხოვრების ლოლიკა. ან უნდა მოხდეს ეს,—მივიდეთ სოციალიზმამდე, ანდა უნდა დავკარგოთ ისიც, რაც მოპოვებული გვაქვს. ეს საკითხი დღეს წამოყენებულია ევროპაში, მისთვის იბრძვიან იქ და ჩვენც ეს გვაერთებს ევროპის მუშათა კლასთან და აი, დღეს აქ მუშათა სასახლის გახსნა—ეს ბურჟუაზიის სასახლის აღებაა. მაგრამ აქ ერთი რამ არის აღსანიშნავი ჩვენ შეგვეძლო ასეთი სახლების აღება მაშინ, როდესაც რევოლიუცია დაიწყო და პოლიტიკურად მუშათა კლასი გაბატონდა, მაგრამ ჩვენ ვიღებთ ბურჟუაზიის პოზიციებს სწორედ მაშინ, არა ნგრევის ხანაში, არამედ, როდესაც ახალ ცხოვრებას ვაშენებთ (მქუხარე ტაში) აი ეს ფაქტი—შეგნება, რომ ასეთი პოზიცია უფრო ხელსაყრელია მუშათა ინტერესებისათვის,—ამბობს ორატორი,—არის თავდები იმისა, რომ ჩვენ ევროპის მუშებთან ერთად შევსძლებთ მოვახერხოთ ისე, რომ ყველა სასახლე ეკუთვნოდეს მშრომელებს, იყოს შრომის საუფლო. შეიძლება ამისთვის ერთი, ორი და მეტი წელიც იყოს საჭირო, მაგრამ თუ ჩვენ ნიკოლოზის ჩამოსაგდებათ 30 წელი ვიბრძოდით, მაშინ, რასაკვირველია, მთელი სოციალისტური წყობილების განსამტკიცებლათ უფრო ენერგიულად ვიბრძოლებთ. გაუმარჯოს თქვენს ენერგიულ ბრძოლას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს (მქუხარე ტაში).

შემდეგ მუშათა სასახლის გახსნას ულოცავენ: თფილისის თვითმართველობის სახელით ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების სახელით მუხრან ხოჭოლავა, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სახელით ლაპარაკობს სანდრო ფარნიევი, დამფუძნებელი კრების შრომის კომისიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ი. ფირცხალაიშვილმა, სოც. ფედერალისტების პარტიის მთავარ კომიტეტის და დამფუძნებელ კრების სოც. ფედ. ფრაქციის სახელით ილაპარაკა ს. მდივანმა, „ერთობის" რედაქციის, ერობათა კავშირის და სახალხო უნივერსიტეტის სახელით ილაპარაკა გრ. ლორთქიფანიძემ.

სოც. დემოკრატიული პარტიის თფილისის კომიტეტის სახელით—სარდ. თევზაძემ, ქალაქთა კავშირის სახელით არჩ. ჯაჯანაშვილმა. ბავშვთა და დედათა საზოგადოების სახელით—ინა ჟორდანიამ, ქუთაისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრის სახელით—გ. ტუსკიამ.

სხდომის დახურვისას ა. ხელაძემ სთხოვა გაჰყოლოდნენ სეკრეტარიატს სასახლის სახურავზე, სადაც აფრიალებდენ წითელ დროშას. სახურავზედვე შეასრულა ორკესტრმა ინტერნაციონალი. მუშებმა შეასრულეს მარსელიოზა. 3 საათზე ზეიმი დაიშალა.

# დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

29 დეკემბერი

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი**, დეკ. 27. **სტოკჰოლმი**, დეკ. 22. უკანასკნელ ხანებში გერმანიაში შესდგა დიდძალი თავდაცვის წრეები, რომელთა მიზანია ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ საპროტესტო ორგანიზაციების მოწყობა. გერმანიას ანტანტამ მოსთხოვა სასწრაფოთ დახუროს წრეები და ყველა წევრებს იარაღი ჩამოართვას.

**სარატოვი**, დეკ. 25. კაზაკები ჯგუფ-ჯგუფად სტოვებენ ფრონტს. ბევრი იარაღით ხელში მიდის შინ. დენიკინის სარდლობამ ბრძანება გამოსცა მთელი ბურჟუაზიის ფრონტის წინა ხაზებზე გაგზავნის შესახებ.

**სამხედრო ცნობები** ნარვის რაიონში, მდინარე პლიუსაზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. მარიენბურგისა და იაკობშტადტის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. ჩვენ წამოვიყვანეთ 8 ტყვე. უშაჩის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. ჟიტომირის მიმართულებით ბელაია ცერკოვის რაიონში ჩვენ ავიღეთ დაბა სხვირა. კიევის რაიონში ჩვენი წინსვლა მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირით სასურველად ვითარდება. ზოლოტონოშის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გადალახა მდინარე დნეპრი კრემენჩუგის მიდამოებში და იბრძვის ქ. ჩერვასის ასაღებათ. ბახმუტის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო პოპასნაია და სადგურები ირმენო და სანგანოვკა. ლუგანსკის და მილეროვოს რაიონში ჩვენი წინსვლა სასურველად ვითარდება. ილოვლის რაიონში ჩვენ ავიღეთ სტარო-გრიგორიევსკი და ვიბრძვით სიროტინის ასაღებათ.

ცარიცინის რაიონში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუვაგდეთ კაჩალინსკისაკენ. კუზნეცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. კუზნეცკი. ნოვონიკოლაევსკის რაიონში, კოლჩუგინის აღმოსავლეთით ჩვენ დავატყვევეთ მტრის სადივიზიო შტაბი. წამოვიყვანეთ 1500 ტყვე და დიდძალი სამხედრო სურსათი. მტერი უკან დახევის დროს სწვავს სამხედრო საწყობებს და ქონებას. ტომსკის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება. დონეცის რაიონში წითელმა ჯარმა დაიჭირა მრავალი გამაგრებული პუნქტი. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. ბახმუტის რაიონში მას დიდძალი რეზერვი მოუგროვებია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა დაჰკრა აღმოსავლეთით, სადაც აიღო ლუგანსკი და მილეროვო ამგვარათ ჩვენ 130 ვერსზე მივუახლოვდით როსტოვს. მიუხედავათ დიდძალი ჯარისა, რომელიც მოგროვებული ჰყავს მტერს როსტოვის რაიონში, მას არ შეეძლება ჩვენი ძლევა—მოსილი წინსვლის შეჩერება. ახლო მომავალში ბრძოლის ფრონტი როსტოვის რაიონში გადავა. ამის გამო დანარჩენი რაიონები სამხრეთის ფრონტისა მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იღებენ. როსტოვი სტრატეგიული კვანძია ყველა მიმართულებისა.

ტიუმენი დეკ. 23 სოფელ პოკროვსკაში გამოჩნდა რასპუტინის ოჯახობა, რომელიც გარბოდა კოლჩაკის ჯართან ერთად. გლეხებმა ისინი დაიჭირეს და ჩრეზვიჩაიკას წარმოუდგინეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის საშუალებით ლონდონს, პარიზს და ვარშავას გადასცა თავისი პროტესტი საფრანგეთისა და ინგლისის ბანაკებში მყოფ გერმანიის ყოფილ აღმოსავლეთ ოლქებში დაბადებულ სამხედრო ტყვეების გალერის ჯარში იძულებით წაყვანის წინააღმდეგ.

**გერმანული პრესის ცნობები**

(დასაწყისი არ მიგვიღია)... რუსეთში ახლა არ არის ისეთი მთავრობა, რომელიც შესაძლებელია იცნონ ნამდვილ მთავრობათ. ჩვენ არ შეგვეძლო და არც არასოდეს გვინდოდა კოლჩაკისა, დენიკინისა და სხვ. დასავ. მთავრობის ცნობა. რუსი ტყვეების განთავისუფლების შემდეგ ჩვენს წინ დგება საშიშროება, რომ ისინი დენიკინის ჯარში ჩაეწერებიან საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველად, რასაც მოსკოვის მთავრობის მხრივ შეუძლია რეპრესიები გამოიწვიოს. კოლჩაკის დამარცხების შემდეგ მრავალი ათასი გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა მიაღწევა (გამოტოვებულია).

სამხრეთ-სლავიის კომისიამ ტრიანონის პლანების წინააღმდეგ კლემანსოს თავისი პროტესტი გაუგზავნა.

ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში დაამარცხეს ინგლისის ჯარები.

**იტალიური პრესის ცნობები**

რომში თეატრ „არგენტინაში" წაკითხულმა ლექციამ თანამედროვე რუმინეთის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მომხსენებელმა ქალმა გარბომ, რომელიც რუმინელია შთამომავლობით, ორივ ლათინთა ერის დამეგობრება მოითხოვა. მრავალრიცხოვანი აუდიტორია მის სიტყვებს მხურვალე ტაშის ცემით შეეგება. იტალიელ ინვალიდების რიცხვი 219,145 უდრის.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ბუქარესტიდან მოვიდა ცნობები ვაიდა ვოევოდას მიერ რუმინეთის პარლამენტსა და სენატში გაკეთებულ განცხადების შესახებ. რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მან განაცხადა: „საზავო ხელშეკრულების დადასტურებამდე რუმინეთი რჩება კავშირში ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებთან ერთადაც ის იბრძოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პოლონეთსა და რუმინეთის საერთო ინტერესები აქვთ. ვოევოდამ ამგვარივე მეგობრული გრძნობები გამოსთქვა ჩეხო-სლოვაკიისა და სერბიის მიმართაც. რუმინეთისა და საბერძნეთის შესახებ ვოევოდამ აღნიშნა ის ძველი სიმპატია, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის ძველათგანვე არსებობდა. თავის დიდი მოკავშირებისა რუმინეთი მუდამ მადლობელი იქნებაო.

ბერნიდან მოსული დეპეშა ანალიზს უკეთებს მოკავშირეთა პასუხს გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე. ამ პასუხში გერმანიას არწმუნებენ, რომ ვერსალის ხელშეკრულობა შეერთებული შტატების დაუდასტურებლადაც შევა ძალაში. ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ საზავო ხელშეკრულობის წინადახეულ ძალდატანების ზომა არ დაგვჭირდებაო და მოითხოვს სკაპა-ფლოში დაღუპულ ფლოტის ანაზღაურებას. ნოტას ამასთანავე მხედველობაში აქვს გერმანიის სასიცოცხლო ინტერესებიც. ფონ-ლერსნერი შეეკითხა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს: შეიძლება თუ არა უახლოეს დროში ერთმანეთს შეხვდენ საზავო ხელშეკრულების პირობების ძალაში შესვლის შესახებ დაარსებული გერმანული კომისია და მოკავშირეთა წარმომადგენლებიო, რაზედაც პასუხათ მიიღო, რომ მოლაპარაკება, ალბათ, ორშაბათს დაიწყებაო.

საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა კლავეილმა მინისტრთა საბჭოში კანონპროექტი შეიტანა საათის ისრის ერთი საათის წინ წაწევის შესახებ. ეს ზომა გამოწვეულია უნახშირობით, ფიქრობენ, რომ ამ ზომით მარტო 1920 წელს საათობი მასალის 100 მილიონზე მეტ ეკონომიას გასწევენ.

საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მთავრობამ და დეპუტატთა პალატამ კვლავ იმსჯელა. თავდაპირველათ მინისტრთა საბჭომ, რომელიც დილას ელისეს სასახლეში შეიკრიბა, მოისმინა კლოტცის მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

უმაღლესი საბჭო დღეს შეუდგა გერმანიის წინადადების განხილვას, რომელიც გერმანიის სანავთსადგურო მასალის მდგომარეობის ექსპერტიზას ეხება. გენერალ [illegible]იგანმა მოხსენება გააკეთა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მოკავშირეთა ჯარების იმ ზონაში გადაყვანას ეხება, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს. გერმანია აცხადებს, რომ მას არა აქვს საჭირო სატრანსპორტო საშუალებანი.

ტრიესტიდან „ეპოხამ" დეპეშა მიიღო, საიდანაც სჩანს, რომ იტალიისა და სამხრეთ-სლავიის დელეგატები შეთანხმებულან ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოებისა და სხვა საკითხების ურთიერთ შორის დაწესების შესახებ.

ბერნიდან იუწყებიან: სოციალისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა იანვრის დამლევს მოაწყოს სხდომა ინტერნაციონალის აღსადგენათ ყველა ქვეყნის სოციალისტების მოწვევის შესაძლებლობის საკითხის გამოსარკვევად.

ვენიდან იუწყებიან: მოვიდა საფრანგეთის კონტრ ნაღმოსანი, რომელზედაც ბუქარესტიდან დაბრუნებული, დუნაის მოკავშირეთა კომისიის თავმჯდომარე, ადმირალი ფტუ იყო. ამ ასი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ ვენაში ფრანგული გემი მოვიდა.

# ახალი ამბები

**მოსკოვში.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით ოქტომბერში სხვადასხვა სანოვაგეზე შემდეგი ნიხრი იყო თავისუფალ ბაზარზე (სუხარევკა და სხვა): ცხენის ხორცი გირ. 90 მ., კარაქი 700 მ., ყველი ჰოლანდიური 550 მ., მურაბა სხვადასხვანაირი 180 მ., ქიშმიში 300 მ., ძროხის ხორცი 180 მ., ცხვრის ხორცი 170 მ., ქათამი ერთი ცალი 500—600 მან., ღორი გირ. 260 მ., ქონი ღორისა 500 მან., შაქარი რაფინადი 280—320 მან., რძე ბოთლი 40 მანეთი, ნავთი გირვანქა 120 მანეთი, მარილი გირვანქა 180 მ., საპონი სატუალეტო ნაჭერი 200 მან., საპონი სარეცხის გირ. 200 მან., შეშა ცალ პირი საჟენი 6000 მან., ადგილზე შეშა კუბიკური საჟენი 20,000 მან., საწყობებში, ფქვილი თეთრი ფუთი 6,000 მან., ფქვილი შავი ფუთი 4000 მან., კართოფილი გირ. 23 მან., ხახვი გირ. 50 მან., კომბოსტო გირ. 10 მან., ვაშლი ერთი ცალი 50—100 მან., საზამთრო ერთი ცალი 900 მან., კვერცხი ათეული 270 მან., ჩაი გირ. 1,500 მან., ყავა გირ. 450 მან., პაპიროსი 25 ცალი 90 მან., სპიჩკა ერთი კოლოფი 25 მან., თამბაქო პირველი ხარისხის გირ. 1,600 მან., „ტვოროგი" 80 მან., „სმეტანა" 160 მ., საფუარი 320 მ., დოში 800 მ., ხიზილალა 800 მ., პური თეთრი 170 მან., შავი პური 80 მ., პამიდორი 120 მან., კიტრი დამჟავებული ერთი ცალი 10 მ., ზაფრანა კავკასიური 80 მან., ელლი უბრალო 400—500 მ., ტრამვაი მოსკოვში 1 მ. 20 კ., პეტროგრადში 3 მ., აბანო 30—50 მ., სადალაქოში 25—35 მ., ფეხსაცმელი 4,000—6,000 მან. ყველა ზემო ჩამოთვლილი საქონლის შოვნა შეიძლება მხოლოდ სპეკულიანტებთან, „კარტოჩკებით" კი, თითქმის არაფერი იშოვება და თუ რამ იშოვება, ისიც მხოლოდ მცხოვრებთა განსაზღვრულ კატეგორიისათვის. ყოველ კვირას ფასებს ემატება არა ნაკლებ 20 პროცენტისა.

◆ **დამფუძნებელი კრების სხდომა.** დღეს, დილით და საღამოთი შესდგება ორი უკანასკნელი სხდომა დამფუძნებელი კრებისა მისი სადღესასწაულოდ შეწყვეტის წინ.

◆ **შორაპნის მაზრის პროფესიონალური კავშირების** დელეგატთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებელს დამფუძნებელ კრებას—ბრძოლაში ნაწრთობ დემოკრატიის ბელადს—მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და პროფესიონალურ კავშირების საბჭოს. ყრილობა ფიცს სდებს აწარმოოს სწორი სოლიდარული მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიის საკეთილ-დღეოთ, შეებრძოლოს რესპუბლიკის გარეშე და შინაურ მტრებს. კავშირთა საბჭო.

◆ **გურიის მუშათა პროფესიონალური კავშირების** მესამე კონფერენცია შეკრებილი ოზურგეთში 27 დეკემბერს, სალამს უძღვნის საქართველოს მუშათა კავშირების საბჭოების კონფერენციას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ. კონფერენციის პრეზიდიუმი.

◆ **სტამბოლში** [illegible] საქართველოს [illegible] წევრი ი. გოგოლაშვილი.

◆ **პირდაპირი საბარგო მატარებელი** [illegible] საქართველოსა და [illegible] რესპუბლიკათა მთავრობები [illegible] პირდაპირი საბარგო მიმოსვლის შესახებ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** მეორე სემესტრის სამზადისის გამო სახალხო უნივერსიტეტის ყველა ქართულ განყოფილებებში დღეიდან მეცადინეობა შეწყვეტილია 5 იანვრამდე. ლექციათა კითხვის განახლება ცალკე იქნება გამოცხადებული.

**სასურსათო საქმეების მოსაწყობათ.** სენაკის ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მას მიეცეს 500,000 მანეთი მოკლე ვადიანი უპროცენტო სესხი სასურსათო საქმეებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოხსენებას უდგენს მთავრობას, რათა მიეცეს ეს თანხა სასურსათო სამინისტროს განკარგულებაში მყოფ თანხიდან.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** საღამოს 6 ს. ს.-დ. სტუდენტთა „ეკონომიურ-მეცნიერულ წრეში" დანიშნულია მორიგი მეცადინეობა ამხ. მუხრან ხოჭოლავას ხელმძღვანელობით.

◆ იბეჭდება და მალე გამოვა ახალი ბროშურა „აფორიზმები" ანუ ხალხური თქმულება) კ. ზახნაზაროვისა.

**კრებები**

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია სახ. რკინის გზის სამართველოს რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება, მთავარ ბუხგალტერიის დარბაზში.

— სამშაბათს, 30 დეკემბერს დანიშნულია ვერის რაიონის სახ. გვარ. საზოგადო კრება.

**პროვინციის ქრონიკა**

**სამტრედიის რკინის გზელთა კლუბი.** 31 დეკემბერს სამტრედიაში გაიხსნება რკინის გზელთა კლუბი. კლუბის გახსნაზე მიპატიჟებულნი არიან: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ს. დემ. ფრაქციის თავმჯდომარე, მთავრობის წარმომადგენელი, ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, გზათა სამინისტროს წარმომადგენელი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი. ივ. გომართელი და სხვა მრავალი პირნი და წარმომადგენელი სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებებისა. კლუბი გაიხსნება საღამოს 9 ს. პროგრამა შემდეგია: მილოცვები, შემდეგ წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი პიესა „გამოცდება" ბაქრაძისა. კლუბის გახსნა დამთავრდება მუსიკალური განყოფილებით და ზეიმით.

# ბათუმი

ქალაქის სასურსათო საბჭოს პურის ფქვილი გამოელია. ინგლისის საინტენდანტომ სტამბოლიდან სესხად მისცა ქალაქს 200 ტონი (12 000 ფ.) ფქვილი. საბჭო იძულებულია დღიური ულუფა ნახევარ გირვ. გახადოს. ამასთან აცხადებენ, ეს მოვლენა დროებითია და ჩქარა თითო გირვანქა მოგეცემათო. პური ქალაქის ფურნეებში 10 მანეთი ფასობს გირვანქა. იანვრიდან 20 მან. იქნება. კერძო ფურნეებში 50—60 მანეთად ფასობს.

სანოვაგის ფასები: ხორცი ძროხის 40 მან. გირ.; ცხვრის—60—70 მ., კართოფილი 10 მან. გირ.; შაქარი (ბარათებით) 30 მ., კერძოთ 120 მ.; ბრინჯი (ბარათებით) 25 მ., კერძოთ—40 მ.; ფქვილი სიმინდისა—800 მ. ფუთი; პურისა—2500 მ.

დონის ფულების კურსი თანდათან ეცემა. ჩვენი ბონები დონის ფულთან შედარებით უკვე 100 პროც. მეტს ფასობს.

24 დეკემბერს ტუაპსედან მოვიდნენ გემ „კორობზე" მოხალისეთა მიერ დატყვევებული ჯარისკაცები, რიცხვით 120 კაცი.

ქალაქში თანდათან ვრცელდება მუცლის და პარტახტიანი ტიფი. ხშირია სიკვდილის შემთხვევები.

ადგილობრივი მთავრობის მიერ ფულის გადამხურდავებელ კანტორების პატრონებს ჩამოერთვათ ხელწერილი ბონებისა და დონის ფულების თანასწორათ გადახურდავების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორების დახურვითა და ჯარიმებით ემუქრებიან. მიუხედავათ ამისა, ბონების ფასი მატულობს.

— გუბერნატორის განკარგულებით შესდგა შრომის კომიტეტი საკანონმდებლო ფუნქციებით. კომიტეტში შედიან შვიდ-შვიდი წარმომადგენელი მშრომელთა და კაპიტალის მხრით.

— ამ დღეებში ფოთიდან ბათუმში მოვიდა საქართველოს პატარა გემი „ტავრიდა". ამავე დროს ბათუმში იყო მოსული მოხალისეთა სამხედრო გემი, რომელიც საქართველოს გემზე ადრე უნდა გაბრუნებულიყო, მაგრამ როგორც გამოირკვა, განგებ იგვიანებდა, რათა შემთხვევა მისცემოდა საქართველოს გემს დადევნებოდა და გზაში ტყვეთ ჩაეგდო. ეს აცნობა ჩვენმა კონსულმა ინგლისის სარდლობას, რომლის გან-